დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
თამარ ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ წულიკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
თამარ მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	253644579

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი სენაკი**
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი სენაკი, სამხედრო ქალაქი 3
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Apkhazeti7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551099607

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 6 26 0000382514** (2026 წლის 31 მარტი)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**2026 წლის 04-05 მაისი**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. სენაკი, სამხედრო ქალაქი 3; ერთი შენობა-ნაგებობა
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. სენაკი, სამხედრო ქალაქი 3; ერთი შენობა-ნაგებობა
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. სენაკი, სამხედრო ქალაქი 3; ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე, Teams -ის პლატფორმაზე, ავტორიზაციის ჯგუფის წევრებთან კომუნიკაციისათვის, შეიქმნა ონლაინ-სივრცე, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებულ იქნა სკოლის თვითშეფასების განაცხადი და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა და მზაობა, გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომელებთან, მშობლებთან და საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს; საგნობრივ ექსპერტებს ყველა პირობა ჰქონდათ გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, განხილულ იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების საკითხები, ასევე ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებით.

სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა. ის გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებს, საავტორიზაციო ვიზიტის დროს მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის პედაგოგების ინტერვიურების პროცესში. ინტერვიუს დროს დააზუსტა საკითხები, რომლის შესახებაც სიღრმისეული ინფორმაცია სჭირდებოდა და ასახა დასკვნაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ- თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა გამოირჩევა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის მაღალი ხარისხითა და საგანამანათლებლო პროცესებში აქტიური ჩართულობით. სკოლა ატარებს ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, **2008 წლის ომის გმირის, თემურ ბოკუჩავას სახელს,** რაც სკოლისთვის ემოციურად მნიშვნელოვანი ფაქტორია და დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული; სკოლა მდებარეობს ქ. სენაკში, სამხედრო დასახლებაში. ადგილობრივი თემის ძირითად ნაწილს წარმოადგენს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა; მოცემულ სოციო-კულტურულ სივრცეში სკოლა არის დაწესებულება, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადგილობრივი თემის ცხოვრებაში. ძალიან მჭიდროა თემსა და სკოლას შორის ურთიერთანამშრომლობა, რაც დადასტურდა მშობლებსა და მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, ეს კავშირები განსაკუთრებით მძაფრად ჩანს ისტორიული წარსულის ჭრილში, აფხაზეთის თემისადმი საერთო ნოსტალგიური და ემოციური დამოკიდებულებებით; სკოლა არჩევითი საგნის სახით საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს აფხაზური ენის შესწავლას, აფხაზურ ენაზე ტარდება ღონისძიებები და თემატური საღამოები, აფხაზური თემატიკის ნაწარმოებებია შეტანილი სკოლის მუსიკალური გუნდის რეპერტუარში; სკოლის გამორჩეულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს **სკოლის განვითარების სწორი დაგეგმვა და მენეჯმენტი.** სწორედ ასეთი მიდგომების ფარგლებში, სხვადასხვა კონკურსსა და პროექტში მონაწილეობით, სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სკოლამ მოიზიდა დამატებითი ფინანსური დახმარება, რომელიც მოხმარდა სკოლის სპორტული დარბაზის, სააქტო დარბაზის, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახის-თავისუფალი სატრენინგე ცენტრისა და STEAM -ლაბორატორიის კეთილმოწყობასა და სრულ აღჭურვას, სკოლის ეზოში დაწყებულია სარეკრეაციო ზონის შექმნა და მწვანე ნარგავებით განაშენიანება; სკოლის გამორჩეულ წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება,ასევე, ჩაითვალოს **არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და კლუბური მუშაობები;** აქტიურად მიმდინარეობს სკოლის სპორტული ცხოვრება; სკოლა თანამშრომლობს სპორტულ ფედერაციებთან და მონაწილეობს მათ მიერ ინიცირებულ შეჯიბრებებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში: კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი; განსაკუთრებით აღსანიშნავია მაგიდის ჩოგბურთში მიღწეული წარმატებები; მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებები: შექსპირის ეპოქის გაცოცხლება, ვიდეო-კლიპების კონკურსი, კინომუსიკის გაცოცხლება, და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის ჩართულობა STEAM -საგნების სწავლების მიმართულებით. სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება წარმოვადგინოთ სკოლის მიერ განხორციელებული STEAM- პროექტები: „ეპიკური ქალაქი“, „ეკო-რობოტი“. პროექტული სწავლების შედეგად მოსწავლეები უფრო ეფექტურად ითვისებენ თეორიულ მასალას, როდესაც თვალსაჩინოდ ხედავენ მისი პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობას. რეფლექსიის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაიზარდა გოგონების ჩართულობა ტექნოლოგიურ პროექტებში, რაც სკოლის ინკლუზიურობისა და თანასწორობის პოლიტიკის დასტურია. პროექტის განხორციელებისას მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას, მოსწავლეები არიან პროცესის დამგეგმავი, შემსრულებელი და მკვლევრები. ისინი თავად განსაზღვრავენ პრობლემას და ეძებენ ტექნოლოგიური გადაჭრის გზებს. STEAM -პროექტის ფარგლებში მოსწავლეები კვირაში ერთხელ აწყობენ ლექციური მეცადინეობების ციკლს დაინტერესებული პირებისათვის, ონლაინ-რეჟიმში. პროექტში აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი თემიც. პროექტის ფარგლებში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ფოთისა და სენაკის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან,

კერძო სექტორთან, რაც საბოლოო ჯამში, ამ პროექტის **STEAM - ჰაბად** ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს; მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალ წელს იგეგმება STEAM-კლუბის კიდევ უფრო გაძლიერება, რომელიც სრულად მოსწავლეების მიერ იქნება მართული. სკოლა ორიენტირებულია სიღრმისეულ, ხარისხიან განათლებაზე, ეს მიდგომა სასწავლო პროცესს ბარიერების დაძლევისა და შემოქმედებითი თავისუფლების ინსტრუმენტად აქცევს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადებში (01.04.2026—01.09.2026), უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადებში (28.02.2026—31.12.2026), შესაბამის უწყებასთან მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება;

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადებში (01.05.2026—01.05.2027), უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა სრული ადაპტაციისა და ხელმისაწვდომობისათვის;
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (01.04.2026—01.09.2026) უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური)	

ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (01.04.2026—01.09.2026) უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალ საფეხური)	
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი	სკოლამ, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (01.04.2026—01.09.2026) უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტი

	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** დაწყებით კლასებში შემსვლელ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ბუნებისმეტყველების სტანდარტის შედეგები და სამიზნე ცნებები. თუმცა კურიკულუმებში საჭიროა შემდეგი ტექნიკური უზუსტობების გასწორება: III და VI კლასის საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს გამორჩენილი სამიზნე ცნებები, IV კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს თემები, I-VI კლსების განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებების რუბრიკებშიც დაზუსტდეს სამიზნე ცნებები; **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		სასურველია დაწყებით (ჩვენი საქართველო), საბაზო (მოქალაქეობა) საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებს დაემატოს კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებსა და მის შედეგებზე გასვლა. **უცხოური ენები** კურიკულუმსა და შემოქმედებით დავალებებში მეტად იყოს ინტეგრირებული დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, რათა უკეთ მოხდეს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა და მხარდაჭერა.
ინდიკატორი 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**სახელმწიფო ენა** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს „კონტექსტმაგალითის“ გრაფაში ინფორმაცია შეიტანონ ლაკონურად და ზუსტად.
ინდიკატორი 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **ესთეტიკური მეცნიერებები** V კლასის მუსიკის კურიკულუმში, რესურსების სვეტში არაა მითითებული სახელმძღვანელო. მხოლოდ სარეკომენდაციო მოსასმენი მასალის ჩამონათვალია. საჭიროა მეთითოს გრიფმინიჭებული სახლემძღვანელოც შესაბამისი გვერდებით.

		მათემატიკა სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში მითითებული ელექტრონული რესურსები. კერძოდ, ზოგიერთ თემასთან დაკავშირებული ჰიპერბმულები (ლინკები) ამჟამად არ იხსნება ან დაზიანებულია. რეკომენდებულია ამ ბმულების განახლება ან ალტერნატიული, „მუშა“ რესურსებით ჩანაცვლება, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არ შეექმნათ დაბრკოლება მასალებზე წვდომისას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია, დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა.
ინდიკატორი 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** რეკომენდებულია, პედაგოგებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი აქტივობები და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს კიდევ უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბებას და ყველა მოსწავლის სრულფასოვან მონაწილეობას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**უცხოური ენები** სასურველია, პედაგოგები უფრო სიღრმისეულად გაეცნონ შეფასების თანამედროვე მიდგომებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ასევე აქტიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი შეფასების

		ინსტრუმენტები, მკაფიო რუბრიკები და განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ეფექტიან მხარდაჭერასა და შეფასების სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. **ესთეტიკური მეცნიერებები** რადგან სკოლას არ აქვს არჩეული შეფასების მეორე მოდელი, საჭიროა კათედრამ შეფასების რუბრიკები დაწყებით და საბაზო საფეხურზე 10 ქულიანი პრინციპით ააწყოს ნაცვლად ექვსი ქულისა. მუსიკაში წარმოდგენილია 6 ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო ხელოვნებაში 10 ქულიანი. **მათემატიკა** ამჟამად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ არის ერთგვაროვანი — ზოგიერთი თემის შეფასება გათვლილია 6-ქულიან სისტემაზე, ნაწილი კი 10-ქულიანზე. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დანერგოს ერთიანი 10-ქულიანი შეფასების სისტემა ყველა სასწავლო ერთეულისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ბუნდოვანება და დაცული იყოს ობიექტურობის პრინციპი. ასევე, სასურველია თითოეული სასწავლო ერთეულისა თუ დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ განიმარტოს, თუ ესგ-ის რომელ კონკრეტულ შედეგზე გადის მოცემული აქტივობა. და შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს მოსწავლისთვის მარტივად გასაგებ ენაზე.
ინდიკატორი 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები** რეკომენდებულია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას

ინდიკატორი 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**უცხოური ენები** სასურველია პედაგოგებმა აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება, დეტალური რუბრიკები და დიფერენცირებული შეფასების მეთოდები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.
ინდიკატორი 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ. ბმულები.
ინდიკატორი 2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** სასურველია, სკოლამ სისტემატურად განახორციელოს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შეფასება და პერიოდული განახლება, რათა სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს თანამედროვე, სანდო და დადასტურებული რესურსები, რომლებიც მაქსიმალურად უპასუხებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებს **სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **მათემატიკა**

		რესურსების ვალიდაციის პროცესში მეტი სისტემურობის შესატანად, სასურველია კათედრამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ციფრული მასალების ტექნიკურ გამართულობას. კერძოდ: პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ჰიპერბმულების (ლინკების) მუშაობა, რათა გამოირიცხოს დაზიანებულ ან გაუქმებულ რესურსებზე გადამისამართება.
ინდიკატორი 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**სახელმწიფო ენა** სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და ისედაც იყენებენ. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო)
	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური	
ინდიკატორი 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** საბაზო საფეხურზე შემსვლელ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩოს სავალდებულო ველები. თუმცა, საჭიროა შემდეგი ტექნიკური უზუსტებების აღმოფხვრა: VII და IX კლასების ფიზიკის საგნის კურიკულუმებში აისახოს გამორჩენილი სამიზნე ცნებები; VIII კლასის ბიოლოგიის საგნის კურიკულუმში და გნმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებების რუბრიკებშიც სამიზნე ცნებების ველში, ზედმეტად წერია „კვლევა“; VIII-X კლასების ქიმიის საგნის კურიკულუმებში სრულად აისახოს ჩარჩოს ყველა ძირითადი ველი.

		უცხოური ენები კურიკულუმსა და შემოქმედებით დავალებებში მეტად იყოს ინტეგრირებული დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, რათა უკეთ მოხდეს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა და მხარდაჭერა.
ინდიკატორი 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**სახელმწიფო ენა** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს „კონტექსტმაგალითის“ გრაფაში ინფორმაცია შეიტანონ ლაკონურად და ზუსტად.
ინდიკატორი 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **მათემატიკა** სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში მითითებული ელექტრონული რესურსები. კერძოდ, ზოგიერთ თემასთან დაკავშირებული ჰიპერბმულები (ლინკები) ამჟამად არ იხსნება ან დაზიანებულია. რეკომენდებულია ამ ბმულების განახლება ან ალტერნატიული, „მუშა“ რესურსებით ჩანაცვლება, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არ შეექმნათ დაბრკოლება მასალებზე წვდომისას.

ინდიკატორი 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** რეკომენდებულია, პედაგოგებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი აქტივობები და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს კიდევ უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბებას და ყველა მოსწავლის სრულფასოვან მონაწილეობას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**უცხოური ენები** სასურველია, პედაგოგები უფრო სიღრმისეულად გაეცნონ შეფასების თანამედროვე მიდგომებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ასევე აქტიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები, მკაფიო რუბრიკები და განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ეფექტიან მხარდაჭერასა და შეფასების სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. **ესთეტიკური მეცნიერებები** რადგან სკოლას არ აქვს არჩეული შეფასების მეორე მოდელი, საჭიროა კათედრამ შეფასების რუბრიკები დაწყებით და საბაზო საფეხურზე 10 ქულიანი პრინციპით ააწყოს ნაცვლად ექვსი ქულისა. მუსიკაში წარმოდგენილია 6 ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო ხელოვნებაში 10 ქულიანი. **მათემატიკა** ამჟამად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ არის ერთგვაროვანი — ზოგიერთი თემის შეფასება გათვლილია 6-ქულიან სისტემაზე, ნაწილი კი 10-ქულიანზე. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და

		დანერგოს ერთიანი 10-ქულიანი შეფასების სისტემა ყველა სასწავლო ერთეულისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ბუნდოვანება და დაცული იყოს ობიექტურობის პრინციპი. ასევე, სასურველია თითოეული სასწავლო ერთეულისა თუ დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ განიმარტოს, თუ ესგ-ის რომელ კონკრეტულ შედეგზე გადის მოცემული აქტივობა. და შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს მოსწავლისთვის მარტივად გასაგებ ენაზე.
ინდიკატორი 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები** რეკომენდებულია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას
ინდიკატორი 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**უცხოური ენები** სასურველია პედაგოგებმა აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება, დეტალური რუბრიკები და დიფერენცირებული შეფასების მეთოდები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. **მათემატიკა** შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტი ობიექტურობისთვის, სასურველია გადაიხედოს საბაზო საფეხურის ზოგიერთი შემაჯამებელი რუბრიკა; კერძოდ, მნიშვნელოვანია დაინერგოს შეფასების ერთიანი სტრუქტურა (სასურველია 10-ქულიანი სისტემა) და კრიტერიუმები გახდეს ნაკლებად ზოგადი და მაქსიმალურად სპეციფიკური. ეს ხელს შეუწყობს სუბიექტური ფაქტორების გავლენის გამორიცხვას და უზრუნველყოფს შეფასების სრულ შესაბამისობას მათემატიკის სტანდარტის კონკრეტულ მიზნებთან.

ინდიკატორი 2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** სასურველია, სკოლამ სისტემატურად განახორციელოს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შეფასება და პერიოდული განახლება, რათა სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს თანამედროვე, სანდო და დადასტურებული რესურსები, რომლებიც მაქსიმალურად უპასუხებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებს **სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **მათემატიკა** რესურსების ვალიდაციის პროცესში მეტი სისტემურობის შესატანად, სასურველია კათედრამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ციფრული მასალების ტექნიკურ გამართულობას. კერძოდ: პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ჰიპერბმულების (ლინკების) მუშაობა, რათა გამოირიცხოს დაზიანებულ ან გაუქმებულ რესურსებზე გადამისამართება.
ინდიკატორი 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**სახელმწიფო ენა** სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და ისედაც იყენებენ.
	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური	

ინდიკატორი 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩოს სავალდებულო ველები, თუმცა საჭიროია ტექნიკური ხარვეზების გასწორება. კერძოდ, XII კლასის ფიზიკის საგნის კურიკულუმში „ასტროფიზიკის“ ნაცვლად წერია „სამყაროს ფიზიკა“. XI–XII კლასების ბიოლოგიის საგნის კურიკულუმებში საჭიროა სახელმძღვანელოების ავტორების მითითება და შეფასების რუბრიკებში თემის სათაურის დამატება, ხოლო XI და XII კლასების ქიმიის საგნის კურიკულუმებში სრულად უნდა აისახოს ჩარჩოს ყველა ძირითადი ველი. **უცხოური ენები** კურიკულუმსა და შემოქმედებით დავალებებში მეტად იყოს ინტეგრირებული დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, რათა უკეთ მოხდეს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა და მხარდაჭერა.
ინდიკატორი 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**უცხოური ენები** აფხაზური ენა სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი საგანი რეკომენდებულია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ იყო განსაზღვრული თითოეული საფეხურის მიზნები, შედეგები და რესურსები. **სახელმწიფო ენა** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს „კონტექსტმაგალითის“ გრაფაში ინფორმაცია შეიტანონ ლაკონურად და ზუსტად.
ინდიკატორი 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **მათემატიკა** სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში მითითებული ელექტრონული რესურსები. კერძოდ, ზოგიერთ თემასთან დაკავშირებული ჰიპერბმულები (ლინკები) ამჟამად არ იხსნება ან დაზიანებულია. რეკომენდებულია ამ ბმულების განახლება ან ალტერნატიული, „მუშა“ რესურსებით ჩანაცვლება, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არ შეექმნათ დაბრკოლება მასალებზე წვდომისას. **უცხოური ენები** რეკომენდებულია, სასწავლო პროცესში კიდევ უფრო მეტად დაინერგოს მრავალფეროვანი და დიფერენცირებული რესურსები, განსაკუთრებით აფხაზური ენის სწავლების მიმართულებით. სასურველია, რესურსები მეტად იყოს ინდივიდუალიზებული და მორგებული მოსწავლეთა განსხვავებულ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, რესურსების მიზნობრივ გამოყენებას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერებას.

ინდიკატორი 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** რეკომენდებულია, პედაგოგებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი აქტივობები და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს კიდევ უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბებას და ყველა მოსწავლის სრულფასოვან მონაწილეობას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**უცხოური ენები** სასურველია, პედაგოგები უფრო სიღრმისეულად გაეცნონ შეფასების თანამედროვე მიდგომებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ასევე აქტიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები, მკაფიო რუბრიკები და განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ეფექტიან მხარდაჭერასა და შეფასების სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. **ესთეტიკური მეცნიერებები** რადგან სკოლას არ აქვს არჩეული შეფასების მეორე მოდელი, საჭიროა კათედრამ შეფასების რუბრიკები დაწყებით და საბაზო საფეხურზე 10 ქულიანი პრინციპით ააწყოს ნაცვლად ექვსი ქულისა. მუსიკაში წარმოდგენილია 6 ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო ხელოვნებაში 10 ქულიანი. **მათემატიკა** ამჟამად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ არის ერთგვაროვანი — ზოგიერთი თემის შეფასება გათვლილია 6-ქულიან სისტემაზე, ნაწილი კი 10-ქულიანზე. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და

		დანერგოს ერთიანი 10-ქულიანი შეფასების სისტემა ყველა სასწავლო ერთეულისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ბუნდოვანება და დაცული იყოს ობიექტურობის პრინციპი. ასევე, სასურველია თითოეული სასწავლო ერთეულისა თუ დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ განიმარტოს, თუ ესგ-ის რომელ კონკრეტულ შედეგზე გადის მოცემული აქტივობა. და შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს მოსწავლისთვის მარტივად გასაგებ ენაზე.
ინდიკატორი 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები** რეკომენდებულია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას
ინდიკატორი 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**უცხოური ენები** სასურველია პედაგოგებმა აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება, დეტალური რუბრიკები და დიფერენცირებული შეფასების მეთოდები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. **მათემატიკა** შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტი ობიექტურობისთვის, სასურველია გადაიხედოს საშუალო საფეხურის ზოგიერთი შემაჯამებელი რუბრიკა; კერძოდ, მნიშვნელოვანია დაინერგოს შეფასების ერთიანი სტრუქტურა (სასურველია 10-ქულიანი სისტემა) და კრიტერიუმები გახდეს ნაკლებად ზოგადი და მაქსიმალურად სპეციფიკური. ეს ხელს შეუწყობს სუბიექტური ფაქტორების გავლენის გამორიცხვას და უზრუნველყოფს შეფასების სრულ შესაბამისობას მათემატიკის სტანდარტის კონკრეტულ მიზნებთან.

ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები** სასურველია, სკოლამ სისტემატურად განახორციელოს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შეფასება და პერიოდული განახლება, რათა სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს თანამედროვე, სანდო და დადასტურებული რესურსები, რომლებიც მაქსიმალურად უპასუხებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებს **სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **მათემატიკა** რესურსების ვალიდაციის პროცესში მეტი სისტემურობის შესატანად, სასურველია კათედრამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ციფრული მასალების ტექნიკურ გამართულობას. კერძოდ: პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ჰიპერბმულების (ლინკების) მუშაობა, რათა გამოირიცხოს დაზიანებულ ან გაუქმებულ რესურსებზე გადამისამართება.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სახელმწიფო ენა** სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და ისედაც იყენებენ.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე:

საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ სკოლას გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი, რომლის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გამოხატა თანხმობა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებით; ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში; სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით განხორციელებულია ღონისძიებები შემდეგი ინდიკატორების დასაკმაყოფილებლად:

- სკოლას მისიით გაცხადებული აქვს აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მეხსიერების შენარჩუნების მხარდაჭერის შესახებ, თუმცა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში არ არის ასახული კონკრეტული ამოცანები და აქტივობები ამ მიმართულებით, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 1.2.1.2- ის** მოთხოვნებს:

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს:

სკოლამ წარმოადგინა სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის (2026-2033 წწ) რედაქტირებული ფორმა, რომელშიც დაზუსტებულია კონკრეტული ამოცანების შესაბამისობა მისიის განაცხადდთან, სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანა დაზუსტებულია სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფისა და სამეურვეო საბჭოს ოქმებით;

განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი №1 (სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის რედაქტირებული ფორმა, სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის ოქმი N3, სამეურვეო საბჭოს ოქმი N 3)
ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

- ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის დაზუსტებული რა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფს სკოლა კონკრეტული აქტივობის განხორციელებას, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 1.2.1.4-ის** მოთხოვნებს:

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;

სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის რედაქტირებული ფორმა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ დააკონკრეტა თუ რა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას; განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი №2 (რედაქტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის ოქმიN3, სამეურვეო საბჭოს ოქმი N 3)

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია

- მუსიკისა და დაწყებით საფეხურზე ხელოვნების მასწავლებლებს არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.1.2.4- ის** მოთხოვნებს:

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის სექტემბრამდე სკოლა გეგმავს: 1. მუსიკის და დაწყებითი საფეხურის ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება; 2. საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნა კანონმდებლობის შესაბამისად; 3.კონკურსის ეტაპების განხორციელება; 4.შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;

მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია

- სკოლას არ აქვს მეორე, მესამე და მეოთხე სართულების დამაკავშირებელი შიდა პანდუსები, რაც ზღუდავს სსსმ და შშმ მოსწავლეთა თავისუფალ გადაადგილებას სკოლის მთლიანი შენობის ფარგლებში, ასევე, სკოლას არ აქვს ადაპტირებული საპირფარეშო სრული ადაპტაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.5.1.4-ის** მოთხოვნებს:

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა:

ა) სკოლასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან 2026 წ. 18 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება N4, რომლის მიხედვითაც სამინისტრომ „განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამოყო 3480 ლარი სკოლის სართულებს შორის გადასაადგილებელი პანდუსების მოსაწყობად;
ბ) სკოლასა და მიმწოდებელს შორის 2026 წლის 25 მაისს დადებული ხელშეკრულება N4 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ,რომლის მიხედვითაც მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს:
სკოლის კიბეებზე ასაკეცი პანდუსის დამზადება– დამონტაჟება (ზომით 3,2X0,85მ, მასიური პეტლებით, მოხვეწილი კუთხეებით, ანტიკოროზიული საღებავით შეღებილი, კედელზე მისამაგრებელი უსაფრთხო ჩამკეტით);

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარებულია და სკოლას აქვს მეორე, მესამე და მეოთხე სართულების დამაკავშირებელი შიდა პანდუსები სსსმ და შშმ მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილებისათვის სკოლის მთლიანი შენობის ფარგლებში;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა იღებს ვალდებულებას აღნიშნულ ვადებში (2026 წლის მაისი-2027 წ. მაისი) უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა;

მტკიცებულებები: ხელშეკრულება N4, ფოტომასალა, შესაბამისობის გეგმა;

ინდიკატორი 3.5.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია

- დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკისა და დაწყებით საფეხურზე ხელოვნების მასწავლებლებს არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 2.2.2.4- ის** მოთხოვნებს:
  სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის სექტემბრამდე სკოლა გეგმავს: 1. მუსიკის და დაწყებითი საფეხურის ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება; 2. საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნა კანონმდებლობის შესაბამისად; 3. კონკურსის ეტაპების განხორციელება; 4. შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;
მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

ინდიკატორი 2.2.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ-თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და სრულ შესაბამისობაშია მასთან;

სკოლის მისიაა: შექმნას მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების, ჯანსაღი, ინოვაციური,კონკურენტუნარიანი და ინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებას, აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მეხსიერების შენარჩუნებას;

სკოლის ხედვა: 2033 წლისათვის სკოლა იქნება ერთ-ერთი აღიარებული და ყველაზე პრესტიჟული სასწავლო დაწესებულება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატრიოტი მოქალაქეების აღზრდის კუთხით, რომელთაც გააზრებული ექნებათ ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებითა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობის მნიშვნელობა. ჩვენი სკოლა იქნება მაღალ-ტექნოლოგიური უსაფრთხო დაწესებულება, სადაც მოსწავლე თავის მომავალს მშვიდობისა და განათლების ფუნდამენტზე ააგებს;

სკოლის ღირებულებები: სამართლიანობა, გუნდურობა, ზრუნვა, გამჭვირვალობა, სკოლისადმი ერთგულება, გამოცდილების გათვალისწინება და სიახლეებისადმი ღიაობა;

სსიპ- თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლის მისიასა და ხედვაში ასახულია კონკრეტულად ამ სკოლის სპეციფიკა და ორიგინალობა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიისა და ხედვის შინაარსით ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისა და თემის წინაშე, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის წარმომადგენელს; უსაფრთხო გარემოს შექმნით სკოლა ხელს უწყობს ჯანსაღი, ინოვაციური, კონკურენტუნარიანი, ინტელექტუალური პიროვნების აღზრდას, რომელსაც შენარჩუნებული ექნება აფხაზეთისადმი მიკუთვნებულობის განცდა და ისტორიულ-კულტურულ მეხსიერება; მისიასა და ხედვაში, ასევე, ცალსახად გაცხადებულია, რომ სკოლა მიზნად ისახავს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატრიოტი მოქალაქის

აღზრდას,რომელსაც გააზრებული აქვს ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებითა და პატივისცემით ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობისა და მაღალტექნოლოგიური განათლების მნიშვნელობა; აქედან ჩანს, რომ სკოლა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პიროვნულ განვითარებზეც. სკოლა სასკოლო საზოგადოებისათვის ქმნის როგორც ფიზიკურად, ასევე, ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დაცულობას, უსაფრთხოებას და მათი ინტერესების დაცვას, აღნიშნული მიზნების მისაღწევად სკოლას აქვს შინაგანაწესი, ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, გადაცდომების პრევენციის მიზნით დადგენილია მორიგეობის გრაფიკი. მოსწავლეთა ინტერესების დაცვის მიზნით ხელშეწყობილია სასკოლო STEAM და სპორტული კლუბების ფუნქციონირება, მხარდაჭერილია მათი ინიციატივები, რასაც მოწმობს არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში „მებაღე -დეკორატორთა“ პროექტის ფარგლებში, მოსწავლეთა ჩართულობით გამწვანებული სკოლის ეზო, მიმდინარე პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“ და სხვ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით გამოიკვეთა , რომ სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში.სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სკოლის პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილე პირები განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი, რომლის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები; საჭიროებები დაადგინეს სპეციალურად შექმნილი კითხვარის დახმარებით. გამოკითხვები ჩატარდა, როგორც პირისპირ ფორმატში, ასევე ამობეჭდილი კითხვარების სახით. პასუხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები და საკითხები რაზეც უნდა გამახვილებულიყო ყურადღება. მონაცემთა გენერირების შედეგად განისაზღვრა სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. აღნიშნულმა ჯგუფმა შედგენილი დოკუმენტის პროექტი გაუზიარა და გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტის გაზიარება ხდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და საგნობრივი კათედრების სხდომებსა და მშობელთა კრებებზე როგორც პირისპირ ფორმატით, ასევე, ონლაინ კომუნიკაციით.

მოსწავლეთა ინფორმირებულობა ხდება სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების დროს. სკოლის დირექციის ორგანიზებით ტარდება სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავს შექმნილი დოკუმენტების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის და მათგან უკუკავშირის მიღებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას არა მხოლოდ თანამშრომელთა ჩართულობა შინაარსის ფორმულირებაში, არამედ შემუშავებული "პროდუქტის" (სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის) მიმართ საკუთრების თანაგანცდის გაჩენა. სასკოლო საზოგადოებასთან ონლაინ კომუნიკაციისათვის სკოლა იყენებს სკოლის ვებ.გვერდს skolebi.emis.ge , სოციალურ ქსელში (Facebook) შექმნილ სკოლის გვერდს, ასევე საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ- აფხაზეთის 7 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ გამოკრულია სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე, ასევე განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ -გვერდზე და სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. skolebi. Emis.ge -ზე. დამრიგებლები სასწავლო წლის პირველივე მშობელთა შეხვედრაზე აცნობენ მშობლებს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებს და ისმენენ მათ მოსაზრებებს აღნიშნულთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტების ნახვა შეუძლია სკოლის საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 28 ოქტომბრის 933 ბრძანების მიხედვით, კერძოდ : „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით **აფხაზეთის №7 საჯარო სკოლას მიენიჭოს სამშობლოს დაცვის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე გარდაცვლილი თემურ ბოკუჩავას სახელი და ეწოდოს „თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა„**
აგრეთვე, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" 2017 წლის 16 მარტის 194 ბრძანების შესაბამისად სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
სკოლასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში სკოლა მოიხსენება, როგორც:
„ სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა"

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მისია, ხედვა, ღირებულებები
- საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N933 28.10.2009(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ)
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- პედსაბჭოს ოქმი
- მშობელთა კრების ოქმი
- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ბრძანება N2-12 22.01.2026
- დაგეგმვის ჯგუფის ოქმები
- კითხვარის ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლის მიერ გამოცემული ბრძანება N 2-11-ის მიხედვით, მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის მიერ. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვითა და SWOT- ანალიზით. დოკუმენტში აღწერილია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. სსიპ - აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შედგება შემდეგი ფაზებისგან:

ა) სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირების ფაზა;

ბ) სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვების ფაზა;

გ) სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ფაზა;

დ) სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზა.

ყოველ ფაზაზე განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით დადგენილია, სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზა, რომლის თანახმადაც სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. მას იხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებებს/დასკვნებს ითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. აღნიშნული განხილვის შედეგად, ასევე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნას ცვლილებები. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს სკოლის დირექტორი. მიმოხილვის პროცესი ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსად, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2026-2033 წწ პერიოდს. სატრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და ეფუძნება ციკლურ პროცესს 7- წლიანი პერიოდულობით. სკოლის მიერ შემუშავებული სატრატეგიული განვითარების გეგმა ძირითადად გამომდინარეობს სკოლის მისიისა და ხედვის შინაარსიდან და წარმოადგენს მათი რეალიზების საშუალებას; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მისიაში გაცხადებული აქვს აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მეხსიერების შენარჩუნების მხარდაჭერის შესახებ, რაც დასტურდება სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დასახული ამოცანებითა და შესაბამისი აქტივობებით;

სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და მათი შესრულების ვადებს. სტარატეგიული გეგმის მიხედვით დადგენილია შემდეგი მიზნები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის განვითარება;

გეგმის ციკლურობა და მდგრადობა უზრუნველყოფილია პერიოდული გადახედვისა და წლიური მონიტორინგის მექანიზმებით. სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს- სამეურვეო საბჭოს მიერ;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის მიდვით უზრუნველყოფს მასში გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას 2026-2027 სასწავლო წლისათვის. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, რომლებიც სრულ შთაბეჭდილებას ქმნის პროცესების და საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნებიდან; გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული შესრულების პერიოდები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესის ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას. ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა ლოგიკური ჯაჭვი: სტრატეგიული მიზანი -> სამოქმედო ამოცანა -> კონკრეტული აქტივობა. აღნიშნული სტრუქტურა იძლევა საშუალებას, რომ სკოლამ თანმიმდევრულად მიაღწიოს გრძელვადიან პერსპექტივაში დასახულ შედეგებს, ხოლო აქტივობების შინაარსი მიუთითებს მათ რეალისტურობასა და სკოლის რესურსებთან თანხვედრაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ-თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სკოლის მიზანია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება,სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; სკოლაში პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია ამოცანისა და აქტივობის შესაბამისი პირები, მაგალითად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მატერიალლურ-ტექნიკურ ბაზის კოორდინატორი, სამეურვეო საბჭო და სხვა. ასევე განსაზღვრულია შეფასების წყაროები, შეფასებისთვის პოტენციურად გამოსაყენებელი დოკუმენტი:ოქმი, ანგარიში და ა.შ.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაზუსტებულია ხუთივე სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის რა ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსია გათვალისწინებული;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ბრძანება სტრ. დაგ.მეთოდოლოგიის დამტკიცებაზე N2-11

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოიცავს სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომლებიც მოცემული დოკუმენტის მე-7 და მე-12 მუხლებშია აღწერილი. სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების

მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს დირექტორის სამართლებრივი აქტით დაშვებული სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს **სამოქმედო გეგმის** შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. დოკუმენტში მოცემულია მონიტორინგისა და შეფასების ცხრილი, სადაც სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების გასწვრივ მითითებულია მათი შესრულების დონეები: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა. ცხრილის საშუალებით თვალსაჩინო ხდება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები; შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი), ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის /სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, თუ რამდენად ხორციელდება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი), ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს. პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივობების შესრულების აღრიცხვაზე, არამედ მათი ეფექტიანობის სიღრმისეულ შეფასებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის სისტემაში ინტეგრირებულია უკუკავშირის მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს სკოლას, გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების — მოსაზრებები. დოკუმენტაციის შესწავლისას (მშობელთა კრებისა და საბჭოების ოქმები) იკვეთება, რომ სკოლა ასევე თანამშრომლობს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივი თემის წარმომაფგენლებთან და საგანმანათლებლო ადმინისტრაციასთან. მიღებული უკუკავშირი გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და საჭიროების შემთხვევაში, გეგმებში დროული კორექტირებების შესატანად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მრჩეველთა, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების ოქმები ადასტურებს, რომ სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესი არის გამჭვირვალე და დაფუძნებულია მრავალმხრივ კომუნიკაციაზე.

3. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს ატარებს მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებული სტრუქტურული ერთეული. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით", რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ვალდებულებასა და მექანიზმებს. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ ამ ეტაპზე სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შედეგები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ინფორმაციის გაზიარება ხდება პერიოდული შეხვედრების, საბჭოების სხდომებისა და ანგარიშების წარდგენის გზით. სკოლას გააზრებული აქვს საჯაროობის მნიშვნელობა ინსტიტუციური ნდობის გაძლიერებისთვის და სამომავლოდ გეგმავს ამ პროცესის კიდევ უფრო მეტად გაფართოებასა და გაციფრულებას, რათა შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს უფრო ფართო დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია, ასევე, პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, კერძოდ შესრულების შედეგები მიმართულია შემდეგზე:

- ინსტიტუციური განვითარება;
- ხარისხის შიდა სისტემის განვითარება;
- სწავლა/სწავლების პროცესების, ახალი მიდგომების დანერგვა და განვითარება;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვა და სათანადო სერვისების დანერგვა-განვითარება;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ბრძანება სტრ. დაგ.მეთოდოლოგიის დამტკიცებაზე N2-11
- სტრუქტურული ერთეულების პირების ფუნქციები
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციის ბრძანება 2-19

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც დეტალურად გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია მოვალეობები. ყველა სტუქტურული ერთეული მოქმედებს თავის კომპეტენციის ფარგლებში, ასევე სქემატურად გამოსახულია სკოლის სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის ორგანიზაციულ მოწყობასთან და აჩვენებს ურთიერთმიმართებას სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, ადმინისტრაცია, არასაშტატო ერთეულები, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნულ სტუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციები ძირითადად ეყრდნობა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების

შინაარსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსსა და „ეროვნული სასაწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს. ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი, ასევე, პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლითაც დასტურდება პერსონალის მიერ საკუთარი ფუნქციების გაცნობის ფაქტი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით: თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალს შორის მოვალეობების დიფერენცირება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან და გამჭვირვალე მართვას.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის (პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ.) და პერსონალისთვის (მაგალითად, ბიბლიოთეკარი) შემუშავებულია შესაბამისი დებულებები და სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული დოკუმენტები, თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან ერთად, ქმნის ვალდებულებების შესრულების მკაფიო სისტემას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- საშტატო განრიგი
- სტუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები
- ხელშეკრულებები: წამყვანი, უფროსი, მოწვეული, პერსონალი;
- შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რაც დასტურდება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის არსებობით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის სტრატეგიულ ხედვას პერსონალის მართვის მიმართულებით და უზრუნველყოფს პროცესების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს:

- სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება;
- ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელება;
- სკოლაში დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების, მოტივირებული და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა;

აღსანიშნავია, რომ სკოლა ზრუნავს არა მხოლოდ პედაგოგიური პერსონალის, არამედ სხვა თანამშრომლების განვითარებაზეც. მათი საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მრავალმხრივი მიდგომით, რაც გულისხმობს შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვებასა და თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას. პერსონალის მართვის ასეთი პოლიტიკა ქმნის მყარ საფუძველს სკოლის ინსტიტუციური განვითარებისთვის, რამდენადაც იგი მიმართულია ადამიანური კაპიტალის გაძლიერებასა და სამუშაო პროცესების ეფექტიანობის ზრდაზე.წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც მუხლობრივად გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგიები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები და ღირებულებები, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ორგანიზაციული მხარდაჭერა, შრომის ანაზღაურების წესი,პერსონალის სამუშაო აღწერილობა,თანამშრომელთა მოზიდვა/შერჩევა, დაქირავება, ადაპტაცია-ორიენტაცია, განვითარება და სტაჟირება,კვალიფიციური და ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, შრომითი ხელშეკრულებების დადება და გაწყვეტა და ა.შ. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები,

პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეობებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობის შეთავსება. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების არსებობა უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესის მდგრადობასა და მოქნილობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში კადრების შერჩევისა და მიღების პროცესი გამჭვირვალეა და სრულად შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს. ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების („მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“) საფუძველზე. სკოლაში თანამშრომლების მიღება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სკოლა განათავსებს https://teacherjobs.ge/ პლატფორმაზე. კანონის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, იქმნება კომისია და, საკონკურსო ეტაპების გავლის შემდეგ ხდება მოთხოვნათა შესაბამისად კვალიფიციური კადრის შერჩევა. კონკურსის ეტაპებია:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;
- გასაუბრება;
- კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სამართლებრივად მოწესრიგებულია. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებთან გაფორმებულ დოკუმენტაციაში ასახულია სტატუსის შესაბამისი დამატებითი მოთხოვნები, რაც ხაზს უსვამს სკოლის პასუხისმგებლობას პროფესიული სტანდარტების დაცვის მიმართ.სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ შსს-ს მიერ გაცემული ცნობები; წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა ზედმიწევნით იცავს პერსონალის მიღებისა და შრომითი ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის ადამიანური რესურსი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების სტაბილურობას. მასწავლებლის შერჩევა და დასაქმება ხორციელდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. სკოლას, ასევე, შემუშავებული აქვს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად აქვთ გაწერილი თითოეული პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; დღეისათვის სკოლაში დასაქმებულია 27 მასწავლებელი, რომელთაგან 23 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 1 მასწავლებელი არის წამყვანი. საქართველოს განათლებისა და თავდაცვის სამინისტროებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სკოლაში ისწავლება სამხედრო საქმე. სამხედრო საქმეს ასწავლის თავდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეული კადრი. სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს არჩევითი საგნის სახით სთავაზობს აფხაზური ენის შესწავლას.

გარდა პედაგოგიური პერსონალისა, სკოლა უზრუნველყოფილია დამხმარე ტექნიკური პერსონალით, რაც აუცილებელია სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისათვის. კერძოდ, სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, ცეცხლფარეში, ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი, სამი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. თითოეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები კანონმდებლობის დაცვით. სკოლაში პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობის კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მუსიკისა და დაწყებით საფეხურზე ხელოვნების საათები განაწილებულია იმ პედაგოგებზე, რომლებსაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები. სკოლა მუდმივად აცხადებს ღია ვაკანსიას მუსიკისა და ხელოვნების ვაკანტურ საათებზე, თუმცა შესაბამისი კვალიფიციური კადრების არარსებობის გამო არ ფიქსირდება არც ერთი განაცხადი. მუსიკის პედაგოგები მუშაობენ მოწვეული მასწავლებლების სტატუსით. უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკის მასწავლებლებს აქვთ ძალიან დიდი შემოქმედებითი გამოცდილება, არიან თავიანთი დარგის პროფესიონალები. მუსიკის მასწავლებელს შექმნილი აქვს ხალხური სიმღერის გუნდი „გოგალაი“, რომელიც წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო კონკურსში. მუსიკის მასწავლებლების ხელმძღვანელობით ბავშვები ეუფლებიან ხალხურ სიმღერებს, მათ შორის აფხაზური ხალხური სიმღერების რეპერტუარიდანაც; პედაგოგები დარეგისტრირებული არიან მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე, სკოლა ღებულობს პასუხისმგებლობას მათ პროფესიულ მომზადებაზე;

სკოლის მიერ წარმოადგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2026 წლის სექტემბრამდე, სკოლა გეგმავს: 1. მუსიკის და დაწყებითი საფეხურის ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება; 2. საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნა კანონმდებლობის შესაბამისად; 3.კონკურსის ეტაპების განხორციელება; 4.შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ სკოლის მუშაობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც თავლშისაცემი იყო დაწესებულებაში ვიზიტისას. მასწავლებლები თავისუფლები არიან თავიანთი იდეებისა და ინიციატივების განხორციელებაში. სკოლის თანამშრომლებს (პედაგოგები, სკოლის პერსონალი) შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება, სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში სკოლის თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია და სკოლის ატმოსფერო იყო ძალიან პოზიტიური და თანამშრომლობაზე ორიენტირებული

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას შემუსავებული აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს საგნობრივი ჯგუფები, რომლის მეშვეობითაც ხდება პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარება, მხარდაჭერა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა. ამის მაგალითია სამუშაო შეხვედრები, რომლებიც იგეგმება სემესტრში ერთხელ, გარდა ამისა, საგნობრივი ჯგუფის შეხვედრებზე პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ სიახლეებს, მიდგომებს, მეთოდებს, რომლებიც შეიძინეს სხვადასხვა საგნობრივი ტრენინგის ფარგლებში. მსაგნობრივი ჯგუფები მუშაობენ სასწავლო წლის დასაწყისში გაცხადებული სამუშაო გეგმის ფარგლებში; სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულების მიხედვით, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს აძლევენ სიტყვიერ რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს, წარმატების გაზიარება ხდება ასევე შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: სკოლის სოციალური ქსელები და სკოლის ვებგვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევაზე;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნაზე;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- საგნობრივი ჯგუფის სამუშაო მასალები. I სემესტრის შემაჯამებელი ოქმი (ინახება სკოლაში);
- ღია კონკურსის მასალები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.;
- შეცვლილი და გაცდენილი გაკვ. ჟურნალი;
- სამუშოზე გამოცხადების ჟურნალი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა სამუშაოს შეფასებას, მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირების მიზნით. განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, მეთოდები და ეტაპები;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას მისცემს სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხელს უწყობს, როგორც თანამშრომელთა მიერ მიზნებისა და ამოცანების შემუშავებას, ასევე , ადმინისტრაციის მხრიდან თანამშრობლების საქმიანობის რეგულარულ შეფასებას; პროფესიული განვითარების თვალსაზრისით სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს: სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, ხელს უწყობს საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სკოლასთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას, გამოყოფს ფინანსურ რესურსს ტრენინგებზე მონაწილეობის მიზნით, სთავაზობს ერთი თვის ვადით ანაზღაურებად სასწავლო შვებულებას და ა. შ.
 სკოლაში პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს, ასევე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ის აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. მის მოვალეობაში შედის სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლა ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში, დაადგინოს მათი საჭიროებები და საჭიროებების გადაჭრის გზა/გზები. სკოლაში შემუშავებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკი კათედრების მიხედვთ, გაკვეთილის შეფასების რუბრიკები. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, გეგმის სახით გაწერილი აქვს გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები: ტრენინგები, შეხვედრები, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. .სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების და ცვლილებების შესახებ მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებს. პედაგოგები ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ სკოლა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის აქტიურად იყენებს საერთო სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას თანამშრომელთა ინტეგრაციის საკითხები განხილული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ამ დოკუმენტის მე-16 მუხლში დეტალურადაა აღწერილი ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესი. სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახალ დანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ახალ დანიშნულ თანამშრომელს აცნობს სკოლის მიზნებს, ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და სკოლაში მოქმედ პროცედურებსა და წესებს. სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ახალ და გამოცდილ კოლეგებს შორის, აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს, რთავს გუნდურ აქტივობებში;

სოციალიზაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობისათვის დიდი როლი ენიჭება, ასევე, კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და შინაგანაწესის მიხედვით, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანასწორობის, პროფესიონალიზმის, დამსახურებისა და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე, იყენებს წახალისების სხვადასხვა მეთოდსა და ფორმას, სკოლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. სკოლა მიიჩნევს, რომ პერსონალის წახალისების სისტემა არის უმთავრესი მექანიზმი ადამიანური რესურსების მართვისას. ის ხელს უწყობს სკოლაში კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალის მოზიდვას. წახალისების სისტემა პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობასთან. წახალისების კონკრეტული მექანიზმების გამოყენების წესი და პროცედურა განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითაც, ამასთან სკოლა, წახალისების ფორმებთან ერთად, ცდილობს შექმნას ყველასთვის კომფორტული და თანასწორი გარემო, რათა პერსონალმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა; ინიციატივების წახალისების მექანიზმები გაწერილია, ასევე, დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში;.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დირექტორის ბრძანება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ.
- ტრენინგები, სერტიფიკატები ;
- დირექტორის ბრძანება პერსონალის წახალისებაზე;

- სამეურვეო საბჭოს ოქმი წახალისებაზე;
- წლის საუკეთესო მასწავლებლის წარდგენის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანხვედრას დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების “ დოკუმენტი აგებულია უწყვეტი განვითარების ციკლურ პრინციპზე (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე), რაც სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტის მუდმივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამ დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის; შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა თუ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დოკუმენტის მიხედვით, სკოლას

შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომლის შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული ,ხარდაჭერის ჯგუფი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში, რომლის მთავარი მიზანი სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლება და განვითარებაა; ჯგუფი ესწრება საგაკვეთილო პროცესს, აკვირდება, იძლევა შეფასებებს და უკუკავშირს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს პედაგოგთა პასუხისმგებლობა სასწავლო შედეგების ანალიზის მიმართ; მასწავლებლები ახდენენ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების რეფლექსიას და ანალიზს წარუდგენენ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებს. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სწავლების ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სისტემურად არის იდენტიფიცირებული და აღწერილი ყველა მნიშვნელოვანი პროცესი. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის გამიჯნული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრების ორგანიზებულ მიმდინარეობას. ხარისხის უზრუნველყოფის დებულების დოკუმენტში გაწერილია:

1.მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა;

2. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

3.დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება და სხვა.

სკოლის საქმიანობის წარმართვის შესახებ მიღებული შიდა დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ თითოეული მმართველი რგოლისა და პოზიციისთვის შემუშავებულია ფუნქციური მოვალეობები. კერძოდ, განსაზღვრულია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სამეურვეო საბჭოს, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარისა და მასწავლებლის ვალდებულებები. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ეს როლი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სკოლის მთავარ მიზანს — ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროცესების მართვის სამართლებრივ გამართულობას შესაბამისი დებულებების დამტკიცებითა და თანამშრომლებისთვის მათი გაცნობით. კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ასეთი დეტალური აღწერა და გადანაწილება ხელს უწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო იდენტიფიცირებას, რაც გამორიცხავს ფუნქციურ გადაფარვებს და

აძლიერებს სკოლის მმართველობით რგოლებს შორის კოორდინაციას. ხარისხის უზრუნველყოფის დებულების დოკუმენტში გაწერილია: 1.მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; 2. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; 3.დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელეება, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება და სხვა. სკოლის საქმიანობის წარმართვის შესახებ მიღებული შიდა დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. ამრიგად, სკოლაში არსებული პროცესების აღწერა და მართვის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში არსებობს თანამშრომლობის, მოსწავლეების/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტის, ასევე, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას შექმნილი აქვს საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ეფექტიანი მექანიზმი. საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა დაწესებულებას გაწერილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისი შიდა რეგულაციის დოკუმენტში. სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგემელს აქვს უფლება გაასაჩივროს სკოლის გადაწყვეტილება. აღნიშნულის შესახებ, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვისას. შინაგანაწესი გამოკრულია საჯაროდ და გამოქვეყნებულია სკოლის ოფიცილურ გვერდებზე. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, ამასთან ცალკეული პროცედურული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით.
სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. ასევე, პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებეში, რომლებიც იდება სკოლასა და დასაქმებულ პირს შორის, რომელსაც ეცნობიან და თანხმდებიან ხელისმოწერისას. ასევე მშობლის/კანონიერი წარმოამდგენლის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და მოსწავლის

მშობლისა/კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლას და სკოლის თანამშრომლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობას არეგულირებს ეთიკის კოდექსი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები
- სკოლის შინაგანაწესი
- დისციპლინური კომიტეტის შექმნის ოქმი
- თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი
- ეთიკის კოდექსი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების ძირითად პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები, რაც მართვის პროცესს ხდის პროგნოზირებადს და გამჭვირვალეს. **უკუკავშირისა და რეაგირების მექანიზმები:** სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების პროცესი ხორციელდება სამეურვეო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. განხილვის ეტაპზე ხდება უკუკავშირის მოსმენა და რაციონალური წინადადებების გაზიარება, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედებს ორმხრივი კომუნიკაციის ეფექტური სისტემა. **სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა:** სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრთა ერთობლივი მონაწილეობა ხაზს უსვამს მართვის დემოკრატიულ

სტილს. სკოლა მუდმივად ცდილობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დოკუმენტი,რომლის მიხედვით განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები. პროცესი, რომელიც მოიცავს დოკუმენტის საჯარო განხილვასა და სამეურვეო საბჭოზე დამტკიცებას, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებას სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით. სტრატეგიული დოკუმენტები ხელმისაწვდომია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც ხელს უწყობს ნდობის მოპოვებას და ზრდის პასუხისმგებლობას საერთო სასკოლო მიზნების მიღწევაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია და პრაქტიკული საქმიანობა (საბჭოების სხდომები, განხილვები) ადასტურებს, რომ სკოლის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების რეალური ჩართულობა და უკუკავშირის მექანიზმები ქმედითია

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კერძოდ, პედაგოგიურ საბჭოში გაერთიანებულია სკოლის ყველა მასწავლებელი, საგნობრივი ჯგუფის შემადგენლობაში გაერთიანებულია მასწავლებლები საგნების მიხედვით, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას თითოეული საფეხურიდან.ისინი მონაწილეობენ სკოლის ბიუჯეტის განხილვასა და დამტკიცების, სასკოლო- სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრია მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც მოსწავლეთა ხმას წარმოადგენს. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. დისციპლინარული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოსწავლე ,მასწავლებელი და მშობელი, თავის მხრივ უდიდეს როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები, კლასის კრებაზე, მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. იმართება, დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების, შეხვედრები მშობლებთან უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მოსწავლეთა თვითთმმართველობის თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭის თავმჯდომარე, დირექციის წარმომადგენელი და მანდატური იძლევა რჩევებს, მითითებებს სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც თანაბარი უფლებებით წარმოდგენილია მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დისციპლინური კომიტეტის შექმნის შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი ;
- სადამრიგებლო საათის დღიური
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი/კომუნიკაციის წესი
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა სბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლა თავისი ფუნქციონირების პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს შექმნას უსაფრთხო გარემო, რაც საშუალებას იძლევა შეფერხების გარეშე წარიმართოს სასწავლო პროცესი. ეს ეხება როგორც შენობის შიდა პერიმეტრს, ასევე სკოლის მიმდებარე ტერიტორიას. შენობის მოვლა-პატრონობისა და მდგრადობის მიზნით ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საჭოს მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტით, რომლის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშთა ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას ემსახურება ორი მანდატური. სკოლის პერიმეტრი დაცულია 24 საათის განმავლობაში სკოლის დარაჯის მიერ (საშტატო განრიგით გამოყოფილია დარაჯის 2 შტატი). სკოლაში მოწესრიგებულია ეზო, კიბეები, შემოსასვლელი ფოიე და სასკოლო დერეფნები, სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს მასწავლებელთა მორიგეობა, იკეტება სკოლის შემოსასვლელი ჭიშკარი. დამლაგებლები სისტემატურ რეჟიმში აწესრიგებენ გაპიროვნებულ სივრცეებს;

სკოლაში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომლებიც ვიზიტის დროს ჩართულ მდგომარეობაში იყო და ფარავდა ყველა მნიშვნელოვან ზონას; სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდა აქტივობები უფლებამოსილი ორგანოების მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასადგენად; სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და შენობა-ნაგებობების და ნაკვეთის აზომვითი ნახაზი. სკოლას აქვს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; სკოლის ოთხივე სართულის დერეფანში გამოკრულია სკოლის აზომვითი ნახაზის შესაბამისი საევაკუაციო გეგმა; სკოლის დერეფნებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები შესაბამისი აღჭურვილობით, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილას და საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი „112“, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილია „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაშია; ჭერი შეწამლულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, სკოლას აქვს წყალმომარაგების უწყვეტი სისტემა;

2026 წლის 29 აპრილს სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის სახელზე შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან შუამდგომლობის შესახებ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კერძოდ მოცემულ ეტაპზე შენობაში არ არის დამონტაჟებული სახანძრო ავტომატური სიგნალიზაციის სისტემა და სახანძრო ჰიდრანტი, რაც წარმოადგენს კრიტიკულ საჭიროებას სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მოსაპოვებლად; სკოლას შესაბამისობის გეგმის მიხედვით მითითებული აქვს ვადები (28. 02.2026 -31.12.2026) აღნიშნული შესაბამისობების დასადგენად;

რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, კერძოდ, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სკოლაში პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პასუხისმგებელი პირების მოვალეობებსა და იმ პროცედურულ ნაბიჯებს, რაც აუცილებელია მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ექიმის პოზიციაზე დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ექიმი რეგულარულად აწარმოებს მედიკამენტების გაცემის აღრიცხვის ჟურნალს (დღიურს). ჟურნალში ზუსტად ფიქსირდება დახმარების გაწევის დრო და გაცემული პრეპარატის დასახელება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კონტროლს. სკოლაში დანერგილია უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი — ნებისმიერი მედიკამენტის გაცემამდე ან სამედიცინო ჩარევამდე ხდება მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება და მისი წინასწარი ინფორმირება. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. კაბინეტში არის მაცივარი ყინულისათვის, საკაცე, წყლის გამათბობელი და ნიჟარა; ექიმი აწარმოებს ყოველდღიურ ჟურნალს, რომელშიც ასახულია სამედიცინო კაბინეტში განხორციელებული ქმედებები; სათანადო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სამედიცინო კაბინეტში არსებული ტახტი შემოსაზღვრული ხელოვნური ბარიერით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია შესაბამისი პირები, გადანაწილებულია მოვალეობები. სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლის მანდატურებს და სკოლის დირექციას, ასევე ამ პროცესებში ჩართულია სკოლის 2 დარაჯი, დამრიგებლები და მორიგეები, რომლებიც მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან გააკონტროლონ მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112--ნომრების შესახებ. სკოლაში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერები . (საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა), ვიდეო სათვალთავლო კამერების ჩანაწერები ინახება 14 დღის განმავლობაში და მის ადმინისტრირებას ახორციელებს სკოლის მანდატური; გარე და შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია ჯამში 23 ვიდეო კამერა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის მისიის, შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა აღწერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დასაქმებული და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. მასწავლებლები გასაუბრებისას ხშირად აკეთებდნენ აქცენტს მათთვის და მოსწავლეებისათვის პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს მნიშვნელობასა და მისი ჩამოყალიბების ხელშემწყობ მიდგომებზე. სადამრიგებლო პროგრამებით წარმოდგენილია კლასსათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე .სადამრიგებლო საათის დროს დამრიგებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას ისაუბრონ სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე: როგორიც არის ოჯახური ძალადობა, ბულინგი-კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვთა ფსიქიკაზე. ვიზიტის დროს მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მოსწავლეთა ემოციურ კეთილდღეობაზე. ერთობლივი ღონისძიებები ქმნის პლატფორმას თვითგამოხატვისთვის, რაც პოზიტიურად აისახება მოსწავლეთა თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის წარმოადგენს ბულინგისა და სხვა სახის ძალადობის პრევენციის ეფექტურ მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს ემოციურად უსაფრთხო გარემოს მდგრადობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებული სოციალურ-ემოციური კლიმატი და მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის არსებული პოზიტიური ურთიერთობები სრულად პასუხობს ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის შენობის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, რაც დასტურდება შესაბამის სუბიექტებთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს ორი დამლაგებელი (სკოლა გეგმავს დამატებით 2 დამლაგებლის აყვანას). პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას გააჩნია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი, ასევე განსაზღვრულია შესაბამისი უწყების მიერ დანიშნული პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები : განმავითარებელი/განმსაზღვრელი; გაცდენები; გამოცდები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით,ინდივიდუალურად, პერსონალურად მიეწოდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა აქვს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე კონკრეტული პიროვნებაა პასუხისმგებელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მართვაზე. პეროსნალური ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირის თანხმობის შემთხვევაში. თითოეული მასწავლებელი და დამრიგებელი იცავს მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობას. კვლევის პროცესებში, სასკოლო პროექტებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის, ფოტო სურათების გასაჯაროებისათვის მშობელთა თანხმობის შესახებ პუნქტი გაწერილია ხელშეკრულების ფორმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლა სამუშაო პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს. კომპიუტერები აღჭურვილია ლიცენზირებული პროგრამებით. ხდება ინფორმაციებისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას ახორციელებს სკოლის დირექცია, შედეგების ასახვა ხდება სკოლის სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზეც ხორციელდება არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება ან/და გაუმჯობესება.

სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები. პირადი მონაცემები განთავსებულია eSchool -ის ბაზაში; საქმის წარმოებისთვის გამოიყენება სკოლის იმეილი Apkhazeti7@mes.gov.ge და Eflow. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლა მონაცემების შეგროვებას და დაცვას ახდენს “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით, რაც გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებისთვის. დირექტორის ბრძანებით შექმნილ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან : დირექტორი, მანდატური, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს წევრები. საბჭოს ფორმატში ხდება სასკოლო საზოგადოებისგან მოსაზრებებისა და უკუკავშირის მიღება უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების მრავალმხრივ ანალიზს. მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ და განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის, ისმენს დირექტორის ანგარიშს. ასევე განიხილავს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და მასწავლებლების წინადადებებს, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმები ადასტურებს, რომ სკოლა პერიოდულად განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს. უსაფრთხოების დაცვის შეფასება სკოლაში ხორციელდება, ასევე, ზეპირი გამოკითხვის გზით, ანონიმურობა დაცულია;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ);
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- მორიგეობის განრიგი;
- წერილი უფლებამოსილ უწყებასთან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის შესახებ;
- საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა უზრუნველყოფს საგანანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლას ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით ქალაქ სენაკში, სამხედრო ქალაქში (დევნილთა კომპაქტური დასახლება) გადაცემული აქვს 10320 კვ.მ. ფართობი მასზე განთავსებული შენობა -ნაგებობით. სკოლა წარმოადგენს ოთხსართულიან ქვის კაპიტალურ შენობას, რომელსაც ფლიგელით უკავშირდება ორსართულიანი შენობა; სკოლის შენობას ბოლო პერიოდში არ ჩატარებია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიუხედავად ამისა, სკოლა საკუთარი ფინანსური სახსრებითა და სხვადასხვა კონკურსსა და პროექტში მიღებული დაფინანსებით ახერხებს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სკოლის ეზო შემოღობილია და ქუჩიდან გამოყოფილია რკინის ჭიშკრებით, ეზოში მწვანე ბალახოვანი საფარია. ეზოდან პირველ სართულზე შესასვლელად დამონტაჟებულია ამწე-ლიფტი, რომელიც შეუფერხებლად ფუნქციონირებს; სკოლის **პირველ სართულზე** განთავსებულია შემოსასვლელი ფართო და ნათელი ფოიე, საკლასო ოთახი, ვაჟების საპირფარეშო, დირექტორის და ბუღალტრის ოთახი, კანცელარია , იჯარით გაცემული ფართი. ტექნიკური პერსონალის ოთახი, მაგიდის ჩოგბურთის ოთახი. სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, ფლიგელის პირველ სართულზეა განთავსებული სრულად აღჭურვილი სპორტდარბაზი გოგონებისა და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე გასახდელებითა და საშხაპით, სპორტული ინვენტარის საცავით, სპორტდარბაზში დამონტაჟებულია

კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე, დარბაზში არის ცენტრალური გათბობა, სპორტდარბაზის მეორე სართულზე ორი დიდი ოთახი გამოყოფილია დაწყებით საფეხურზე სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად, იატაკზე დაგებულია რბილი ტატამი და პატარებისათვის შექმნილია კომფორტული სივრცე, (აღსანიშნავია რომ სპორტდარბაზის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა სლოვაკეთის საელჩოს დაფინანსებით პროექტ „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ფარგლებში). **მეორე სართულზე** განთავსებულია ფართო და ნათელი საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი რესურსოთახი, სასკოლო ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზითა და საცავით, კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი სცენით, განათებითა და შესაბამისი ავეჯით (სააქტო დარბაზის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა პროექტ „მე და კონსტიტუციის“ ფარგლებში მოპოვებული დაფინანსებით); **მესამე სართულზე** განთავსებულია საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, სრულად აჭურვილი STEAM- ლაბორატორია (STEAM- ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვა მოხდა „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებითა და STEAM- კონკურსში გამარჯვების შედეგად მიღებული ხელსაწყოებით) , სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახი-თავისუფალი სატრენინგე სივრცე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა რესურსების ოთახი, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების საცავი; **მეოთხე სართულზე** განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, პროფორიენტაციის ოთახი („სათემო განათლების ცენტრის„ მიერ სკოლას საჩუქრად გადაეცა საკერავი მანქანები, ჭრა-კერვის მიმართულებით სკოლას ჰყავს გადამზადებული ორი პედაგოგი), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი სისტემა, არის ცეცხლგამძლე მასალით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდა, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, მჟავები და ტუტეები ინახება ცალკე საცავ ოთახში, სკოლას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსაგან საჩუქრად აქვს გადაცემული ვირტუალური ლაბორატორია ქიმიისა და ფიზიკის აქტიური სწავლებისათვის); სკოლის ყველა სართულზე არის სველი წერტილი; ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით , მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფით და საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს 22 პერსონალური კომპიუტერი და 37 ნოუთბუქი მუშა მდგომარეობაში , 3 პრინტერი, 5 პროექტორი სხვადასხვა ლოკაციაზე, ეკრანი პროექტორისთვის, გათბობის ცენტრალიზებული სისტემა და წყალმომარაგების გამართული სისტემა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ხელი მიუწვდება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსებით სარგებლობაზე. სკოლაში შექმნილი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. ზოგადად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას გააჩნია კარგი მატერიალური ბაზა, რომელიც თანაბრად

ხელმისაწვდომია და ყველას აქვს საშუალება შეძლონ ერთმანეთზე ზრუნვა, ჯგუფური და გუნდური მუშაობა, განივითარონ შემოქმედებითი უნარები. ამაში ხელს უწყობს:

- სააქტო დარბაზი - სასკოლო საზოგადოების ერთობლივი აქტივობებისთვის, კონცერტებისა და თეატრალური წარმოდგენებისთვის;
- ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- კეთილმოწყობილი და სათანადო ავეჯით აღჭურვილი საკლასო ოთახები;
- კეთილმოწყობილი სამასწავლებლო და დირექციის ოთახი;
- სრულად აღჭურვილი სპორტული დარბაზი;
- STEAM- ლაბორატორია, სადაც მოსწავლეები ქმნიან ელექტრონულ მოწყობილობებს : რობოტებს, მაკეტებსა და მოდელებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, Google-Mt-ის საშუალებით კვირაში ერთხელ ტარდება ონლაინ შეხვედრები თეორიული და პრაქტიკული ცოდნის უზრუნველსაყოფად, ამ მიმართულებით სკოლა გამორჩეულია და ქმნის STEAM-ჰაბს;
- თვითმმართველობის ოთახი- კეთილმოწყობილი სივრცე მოსწავლეთა შეხვედრებისათვის

ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებში ტარდება სხვადასხვა სასწავლო და არაფორმალური აქტივობები , ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს და საინტერესოს ხდის. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში საბიბლიოთეკო მომსახურება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად. ბიბლიოთეკის სივრცეში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას მომსახურების პირობებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა ოპტიმალურად არის ათვისებული-ერთ სივრცეშია გაერთიანებული წიგნადი ფონდი და სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია

შესაბამისი ავეჯით, კითხვისთვის განკუთვნილი სივრცეებით, არის კომპიუტერი და პროექტორი ეკრანით. ასეთი მოწყობა ხელს უწყობს რესურსებთან სწრაფ წვდომას და ქმნის კომფორტულ გარემოს როგორც საკითხავი მასალის მოსაძიებლად, ისე ადგილზე სამუშაოდ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნების სისტემატიზაცია და კატალოგიზაცია მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში დაცულია საერიცხვო სტანდარტები, რაც აადვილებს სასწავლო და მხატვრული ლიტერატურის მოძიებისა და მართვის პროცესს. საბიბლიოთეკო სერვისების გამართული ფუნქციონირება ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს წიგნიერების დონის ამაღლებას და მოსწავლეებს სთავაზობს აუცილებელ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ბიბლიოთეკა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტსა და აქტივობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სასკოლო გარემოს ხელმისაწვდომობის შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლის შენობაში გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად: სკოლის ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს და მიესადაგება ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, სკოლის მთავარ შესასვლელთან არის ამწე-ლიფტი, რომელიც ემსახურება პირველ სართულზე დაუბრკოლებლად შესვლას, მეორე სართულზე ასასვლელად გამოყენებულია შიდა პანდუსი, სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურსოთახი. ვიზიტის შემდეგ სკოლამ განახორციელა ღონისძიებები სრულფასოვანი ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე პირების დამოუკიდებელი და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შენობის შიდა პერიმეტრში, განსაკუთრებით ზედა სართულებზე ასასვლელად, ოთხივე სართულის კიბეებზე დამონტაჟდა შიდა გადაადგილების პანდუსები;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ვადებში (01.05.2026-01.05.2027) გეგმავს ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობას;

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ეფექტურად გამოიყენება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით. დაწესებულება თავის თავს იაზრებს არა მხოლოდ

სასწავლო ერთეულად, არამედ სოციო-კულტურულ სივრცედ, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის შეხვედრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივების რეალიზება. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი აქტივობებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას. კერძოდ, სოციალური და კულტურული ღონისძიებებისთვის ხდება შესაბამისი ფართებისა და ინვენტარის გამოყოფა. სკოლის ინფრასტრუქტურული მოწყობა ქმნის „კუთვნილების განცდას". ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახის-თავისუფალი სატრენინგო სივრცის არსებობა, სკოლის სარეკრეაციო ზონა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, STEAM ლაბორატორია, სააქტო დარბაზი ხელს უწყობს კონფერენციების, შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩატარებას; სკოლა სრულ თავისუფლებას აძლევს მოსწავლეებს, თვიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე, გაკვეთილების შემდეგ. მოცემულ სოციო-კულტურულ სივრცეში სკოლა არის დაწესებულება, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადგილობრივი თემის ცხოვრებაში. ძალიან მჭიდროა თემსა და სკოლას შორის ურთიერთანამშრომლობა, რაც დადასტურდა მშობლებსა და მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, ეს კავშირები განსაკუთრებით მძაფრად ჩანს ისტორიული წარსულის ჭრილში, აფხაზეთის თემისადმი საერთო ნოსტალგიური და მტკივნეული დამოკიდებულებებით; სკოლა არჩევითი საგნის სახით საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს აფხაზური ენის შესწავლას, აფხაზურ ენაზე ტარდება ღონისძიებები და თემატური საღამოები, აფხაზური თემატიკის ნაწარმოებებია შეტანილი სკოლის მუსიკალური გუნდის რეპერტუარში; სკოლის გამორჩეულ წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და კლუბური მუშაობები; აქტიურად მიმდინარეობს სკოლის სპორტული ცხოვრება; სკოლა თანამშრომლობს სპორტულ ფედერაციებთან და მონაწილეობს მათ მიერ ინიცირებულ შეჯიბრებებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში: კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი; განსაკუთრებით აღსანიშნავია მაგიდის ჩოგბურთში მიღწეული წარმატებები; მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებები: შექსპირის ეპოქის გაცოცხლება, ვიდეო-კლიპების კონკურსი, კინომუსიკის გაცოცხლება, და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის ჩართულობა STEAM-საგნების სწავლების მიმართულებით. სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება წარმოვადგინოთ სკოლის მიერ განხორციელებული STEAM პროექტები: „ეპიკური ქალაქი", „ეკო-რობოტი". პროექტული სწავლების შედეგად მოსწავლეები უფრო ეფექტურად ითვისებენ თეორიულ მასალას, როდესაც ხედავენ მის პრაქტიკულ გამოყენებას. რეფლექსიის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაიზარდა გოგონების ჩართულობა ტექნოლოგიურ პროექტებში, რაც სკოლის ინკლუზიურობისა და თანასწორობის პოლიტიკის დასტურია. პროექტის განხორციელებისას მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას, ხოლო მოსწავლეები არიან პროცესის დამგეგმავი, შემსრულებელი და მკვლევრები. ისინი თავად განსაზღვრავენ პრობლემას და იძიებენ ტექნოლოგიური გადაჭრის გზებს. STEAM- პროექტის ფარგლებში მოსწავლეები კვირაში ერთხელ აწყობენ ლექციური მეცადინეობების ციკლს დაინტერესებული პირებისათვის ონლაინ-რეჟიმში. პროექტში აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი თემიც. პროექტის ფარგლებში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ფოთისა და სენაკის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, რაც საბოლოო ჯამში, ამ პროექტის STEAM -ჰაბად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს; მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალ წელს იგეგმება STEAM კლუბის კიდევ უფრო გაძლიერება, რომელიც სრულად მოსწავლეების მიერ იქნება მართული. სკოლა ორიენტირებულია სიღრმისეულ,

ხარისხიან განათლებაზე, ეს მიდგომა სასწავლო პროცესს ბარიერების დაძლევისა და შემოქმედებითი თავისუფლების ინსტრუმენტად აქცევს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- ბიბლიოთეკის მუშობის დებულება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- საკადასტრო აზომვითი ნახაზი
- საინვენტარო აღწერილობა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას აქვს ინტერნეტის WI-FI დაფარვა მთელ პერიმეტრზე. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 22 პერსონალური კომპიუტერი, 1 პროექტორი, გარდა ამისა სკოლას გადაეცა 37 ლეპტოპი, 2 პრინტერი და ოთხი პროექტორი, რომელიც განაწილებულია თავისუფალი წვდომის სივრცეებში, კერძოდ სამასწავლებლოში-12 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 2 პრინტერი, ბიბლიოთეკაში 6 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი; რესურს ოთახში -3 ლეპტოპი, 1 პროექტორი; ადმინისტრაციაში -3 ლეპტოპი, 1 კომპიუტერი, 1 პრინტერი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში- 2 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 1 ტელევიზორი. თავისუფალი სატრენინგო სივრცე- 6 ლეპტოპი, 1 ტელევიზორი; STEAM ლაბორატორიაში - 4 ლეპტოპი, 1 ტელევიზორი; სამედიცინო კაბინეტში- 1ლეპტოპი. სკოლაში შექმნილია კომფორტული სამუშაო გარემო. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში, ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსებით-პროექტორით, პრინტერით და კომპიუტერით. ყველა ზემო ჩამოთვლილი რესურსი ხელმისწავდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისთვის

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და ადგილზე ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის; სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია Wi- Fi მოწყობილობა, რომელზედაც სასკოლო სივრცის ცალკეულ ზონას აქვს სათანადო წვდომა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის წესი, ასევე ლაბორატორიას ჰყავს პასუხისმგებელი პირი. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. აგრეთვე, სკოლის თანამშრომელთა მიერ მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ დარჩნენ გაკვეთილების შემდეგ , მოაწყონ სამუშაო შეხვედრები, დაესწრონ ონლაინ ტრენინგებს, გაესაუბრონ მშობლებსა და განახორციოლონ

პროექტები. როგორც საგაკვეთილო პროცესი ასევე გაკვეთილების შემდეგ შეუძლიათ ტექნიკის გამოყენება სასკოლო აქტივობებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფოტომასალა (კომპიუტერული ლაბორატორია, STEAM ლაბორატორია, თავისუფალი წვდომის სივრცები);
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს: საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების“ შესახებ. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

საქმისმწარმოებელი ახდენს გასული და შემოსული კორესპოდენცინციების ელექტრონულ რეგისტრაცია-გენერირებას, ,პერსონალისა და მოსწავლეთა პირად საქმეების, ხელშეკრულებების აღრიცხვას და შენახვას, დოკუმენტების გაცემას არქივისთვის, აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვა ხდება წესების დაცვით.

სკოლის მიერ შემუშავებულია ელექტრონული საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული წესის თანახმად, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობა მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე და საქმეში მოთავსებამდე წარმოადგენს სკოლის დოკუმენტბრუნვას.

საქმისწარმოებაში გამოიყოფა შემდეგი დოკუმენტები:

ა) შემოსული დოკუმენტაცია;

ბ) შიდა დოკუმენტაცია;

გ) გასული დოკუმენტაცია;

დ) ბრძანებები.

დოკუმენტის მიღებას აწარმოებს კანცელარია. დოკუმენტის დამუშავება და შემსრულებლისათვის გადაცემა ხორციელდება მათი შემოსვლის დღეს ან მომდევნო დღეს, თუ დოკუმენტი შემოვიდა არასამუშაო დროს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება : eflow, eschool, outlook , MS Word, MS Excel. MS Power Point, Teams და Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc -სოციალური ქსელი და სკოლის ვებგვერდი. eflow-ს დახმარებით საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ის სრულყოფილად ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლის ელექტრონული სისტემებში ხდება მოსწავლეთა შეფასება და გაცდენების აღრიცხვა https://onlineschool.emis.ge/auth, Google, Teams და სხვა პლატფორმების გამოყენებით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს განათლების სფეროს მარეგულირებელ სახელმწიფო უწყებებთან, უზრუნველყოფს მათგან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირებას და მოთხოვნილი ინფორმაციის ოპერატიულ გაზიარებას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის კანონშესაბამისად წარმართვას. ანგარიშგების სისტემა მოიცავს როგორც სტატისტიკურ, ისე შინაარსობრივ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ, რაც აუცილებელია გარე მონიტორინგისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი(დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული);
- ელ. სისტემის ფოტო-მასალა (eflow, eschool)

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს სოციალურ ქსელში (Facebook) შექმნილ სკოლის გვერდს, ასევე, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად განათავსებს სიახლეებს, კონკურსებს, განცხადებებს, რომელიც მეტ შესაძლებლობას აძლევს სკოლას, ფართო წრისათვის გახადოს ინფორმაცია ხელმისაწვდომი. საჭიროების შემთხვევაში კი ვიყინებთ, როგორც მესენჯერ ჯგუფებს, ასევე სატელეფონო საუბრებს.სკოლის გვერდზე მუდმივად ზიარდება სასკოლო ცხოვრების წარმატებული მაგალითები. მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად აქტიურად ვიყენებთ ელექტრონულ ჟურნალს, სადაც ჩანს მოსწავლის შეფასების დინამიკა, ასევე ვიყენებთ პირისპირ შეხვედრებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ გავრცელებული ყველა სიახლე თუ ინფორმაცია ეფუძნება გადამოწმებულ უტყუარ მტკიცებულებებს. ამ მიზნით სკოლას დირექტორის ბრძანებით დანიშნული ჰყავს საქმისმწარმოებელი , რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და იღებს სრულ პასუხისმგებლობას სკოლის ფეისბუქ გვერდის წარმოებაზე. სკოლის სოციალური ქსელის მუდმივ დაკვირვება- მონიტორინგს აწარმოებს სკოლის ადმინისტრაცია, რაც გამორიცხავს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს (ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები, Teams-ის პლატფორმა), ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი, ცალკეულ შემთხვევაში ხდება ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირება, დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით.მაგალითად, სკოლა ამ ეტაპზე მუშაობს ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო ფორმების შეოღებისა და დიზაინის შერჩევის პროცესზე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას გააჩნია ოფიციალური ვებ-გვერდი https://skolebi-admin.emis.ge/dashboard ; რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო პლატფორმას სასკოლო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. პლატფორმის არსებობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ციფრულ ხელმისაწვდომობასა და დისტანციური კომუნიკაციის შესაძლებლობას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე (სახელმწიფო ენაზე), რაც სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. ინფორმაციის ენობრივი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მშობლების, მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სრულყოფილ ინფორმირებულობას სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეებისა და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ. ვინაიდან სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, ვებგვერდის შინაარსობრივი მხარე სრულად პასუხობს სწავლების ენის მოთხოვნას. ეს გარემოება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალობასა და სასკოლო კულტურის პოპულარიზაციას ციფრულ სივრცეში. მოქმედი ვებგვერდის მეშვეობით სკოლა ახდენს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და აქტივობების საჯაროობას, რაც ზრდის დაწესებულების ანგარიშვალდებულების ხარისხს. ყველა ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში თუ ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული, სკოლას აქვს რესურსი საჭირო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსებისა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის ფუნდამენტური დოკუმენტები: მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც საზოგადოებას აცნობს სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიასა და პრიორიტეტებს. საინფორმაციო სივრცეში წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა და საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებები. მშობლებისა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესახებ, რაც ამარტივებს ადმინისტრაციულ მომსახურებასთან წვდომას. პლატფორმა მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებსა და ინფორმაციას მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ. აღნიშნული მონაცემების საჯაროობა ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. პლატფორმაზე სრულყოფილად არის მითითებული საკონტაქტო მონაცემები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებასა და გარე პირებთან ოპერატიულ კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ საინფორმაციო პლატფორმა დატვირთულია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი კომპონენტით, რაც ხელს უწყობს საზოგადოების სრულფასოვან ინფორმირებულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სადამრიგებლო საათი;
- მშობლის თანხმობის ფორმა;
- სკოლის ვებ გვერდის ბმული - skolebi.emis.ge.
- სკოლის ფეისბუქ გვერდის ბმული;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, სკოლას გაქირავებული აქვს ფართი სპორტული და ცეკვის წრის ფუნქციონირებისათვის, გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო შემოსული თანხა აღირიცხება სკოლის ბიუჯეტში. ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. ბიუჯეტის დაგეგმვას სკოლა ახდენს რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება. სკოლას სახელფასო და კომუნალური გადასახადების შემდგომ რჩება მცირე ბიუჯეტური თანხები. ადგილზე ზეპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს მცირე ნაშთს.

2. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა ეფუძნება კოლეგიურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება სკოლის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, ხოლო მისი საბოლოო დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ეს პროცესი უზრუნველყოფს ფინანსური გადაწყვეტილებების შესაბამისობას სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის დირექტორი რეგულარულად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ. გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა წარმოადგენს კონტროლის ეფექტურ მექანიზმს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ფინანსური რესურსების ხარჯვის მიზნობრიობა და ეფექტურობა. ფინანსური მართვის მთელი ციკლი (დამტკიცება, ანგარიშგება, მონიტორინგი) სათანადოდ არის დოკუმენტირებული. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები წარმოადგენს იმ მატერიალურ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს მართვის სისტემის ქმედითობას და ფინანსური პროცესების

კანონშესაბამისობას.სკოლის მიერ ჩამოყალიბებული მოდელი, სადაც ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო ურთიერთთანამშრომლობენ ფინანსების მართვის საკითხებში, ქმნის საიმედო გარანტიას სკოლის ფინანსური სტაბილურობისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური მართვის ციკლი და ანგარიშვალდებულების მექანიზმები სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- სამეურვეოს ოქმი-ფინანსური ანგარიში;
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმა;
- ფინანსური გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- შესყიდვების დოკუმენტაცია ;
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები (ქცევის კოდექსი), მისი უფლებები დისციპლინური დევნის შემთხვევაში. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს, აგრეთვე, მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექცია, სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით, სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში აცნობს მოსწავლეებს მათ უფლებებსა და წესებს. დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. რაც აისახება შეხვედრის ოქმში. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დაცვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, ასევე შემუშავებულია დოკუმენტი, გასაჩივრების დეტალური პროცედურები, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა უფლებები, ინიციატივები ყოველთვის მხარდაჭერილია სკოლის მიერ. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც ატარებს ესგ მიერ განსაზღვრულ ღონისძიებებს. სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები. სკოლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მხარდაჭერა, მათი ინიციატივების წახალისება. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტი: „კანონიერი უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც ეხება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს, ყველა მოსწავლესა და მათ მშობელს/კანონიერ მეურვეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე, ხოლო დამრიგებლების დებულებაში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება

მოსწავლეთათვის, რითაც დასტურდება უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან აღნიშნულის გათვალისწინებით. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისი რესურსებით. სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობაზე მეტყველებს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული შინაგანაწესი. მშობლებთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ასევე, კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკლასო/ მშობელთა კრებებზე. მშობელთა კრების ოქმები, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, რეგულაციები არის გამჭვირვალე და გააზრებული სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას. დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს ცვლილებიდან არაუგვიანეს 5 დღეში. კლასის დამრიგებლებს თავიანთ დოკუმენტაციაში ასახული აქვთ ეს პროცესები; სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი „2200220“, მანდატურის მობილურის სამსახურებრივი ნომერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. სკოლა წინასწარ მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად და მათი კანონიერი წარმომადგენლების ნებით აფორმებს თანხმობის ფორმებს. სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულებას მშობელი ეცნობა წლის დასაწყისში და აწერს ხელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობელთა კრების ოქმი N1;
- სადამრიგებლო საათის დღიური;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის წესი;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკუთარი წესი, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით; სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანებით. სკოლაში პირველკლასელთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ოთხი ეტაპის დაცვით, რეგისტრაციის ვადებსა და პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელია

საინფორმაციო მენეჯერი. მობილობით მოსწავლე ჩაირიცხება მშობლის განცხადებისა და ელექტრონული დასტურის საფუძველზე. მობილობის შემთხვევაში მშობლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით დასტურდება მშობლის მომართვა და მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა. არსებული კანონმდებლობის შესაბისად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კანონმდებლობის შესაბამისად ოთხი ეტაპის დაცვით, მობილობით მოსწავლე ჩაირიცხება მშობლის განცხადებისა და ელექტრონული დასტურის საფუძველზე. მობილობის შემთხვევაში მშობლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით დასტურდება მშობლის მომართვა და მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა. არსებული კანონმდებლობის შესაბისად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო, წლიური და ექსტერნატის გამოცდების ჩატარების პროცედურები. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შედეგად მოსწავლის ჩარიცხვის მიზნით, მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლა ამზადებს დასკვნას თავსებადობის შესახებ და აწვდის მშობელს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად. მიღებული აღიარების დოკუმენტის თანახმად და მშობლის განცხადების საფუძველზე ჩაირიცხება მოსწავლე, ხოლო განსხვავებული საგნების დასაძლევად მოსწავლე აბარებს ექსტერნის გამოცდებს. სტატუსი შეუჩერდება მშობლის განცხადების საფუძველზე. სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და იცავს ყველა წესს, რომელიც ეხება მოსწავლის ჩარიცხვასა და მობილობას. ასევე სტატუსის შეჩერებას. მოსწავლის ჩარიცხვა და მობილობა ხორციელდება მხოლოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, ხოლო და სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სკოლა მუდმივად თვალს ადევნებს და მიჰყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობას;
- დროულად ეცნობა და აქვეყნებს ინფორმაციას მოსწავლეთა რეგისტრაციის ეტაპებისა და სხვადასხვა საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე;
- სკოლაში წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის თაობაზე;
- მოსწავლეთა მობილობის თაობაზე;
- სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის თაობაზე;
- საფეხურის დაძლევის თაობაზე;

მოსწავლის მიერ საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პედაგოგიური საბჭო, რაც ფორმდება კოლეგიალური ორგანოს სხდომის ოქმით. პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საქმისმწარმოებლის მიერ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლის შეფასების/გადაფასებისა და შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ შესაბამისად. სპეციალური საჭიროების დადასტურების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეების სახით, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სხვადასხვა კონცეპტუალური დოკუმენტი/მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს სკოლის შიდა პოლიტიკასა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ სხვადასხვა დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. თითოეული საგანმანათლებლო მომსახურების სასწავლო პროგრამა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას აქვს საგანანმანათლებლო მომსახურეობისა და მასთან დაკავშირებული სერვისების მკაფიო და გამჭვირვალე სისტემა, კერძოდ, სკოლას აქვს სოციალურ ქსელში გვერდი, სადაც პერიოდულად განთავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით. საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც საჯარო სკოლის პერსონალს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სკოლის ვებგვერდის, საინფორმაციო შეხვედრებისა და დახურული ჯგუფების მეშვეობით, ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დაგეგმილი შიდა სასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, ღონისძიებების, რესურსების და სერვისების შესახებ. სკოლა ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ავრცელებს სხვადასხვა საინფორმაციო გზით: სტენდებზე ინფორმაციის განთავსება, სოციალურ ქსელში არსებულ სკოლის გვერდზე, მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილ დახურულ სოციალურ ჯგუფებში. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, მშობლის მომართვიანობის საფუძველზე. შეთავაზებულ მომსახურებაზე გაფორმებულია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება, სადაც გარკვევით ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი და არადისკრიმინაციული

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება(მობილობა);
- მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვა;
- საფეხურის დაძლევის ბრძანება;
- სტატუსის შეჩერების დოკუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი: „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით . დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ყველა პროცედურა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანზიციის მექანიზმების დოკუმენტი. ამით რეგულირდება ბაღიდან სკოლაში/ სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესები, მასთან დაკავშირებული რეგულაციები და ტრანზიციის პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს ბავშვსა და ოჯახს თავი კომფორტულად იგრძნოს ახალ გარემოში. სკოლის ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა ინკლუზიურობის პრინციპს ეფუძნება და ყველა ბავშვისა თუ ოჯახის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ უნიკალურ საჭიროებებს ეხმიანება. ზემოაღნიშნული პროცედურების გათვალისწინებით, სკოლაში მოსწავლის სხვა სკოლიდან გადმოსვლის, პირველ კლასში ჩარიცხვისა და მეოთხედან მეხუთე კლასში გადასვლის დროს სკოლა გეგმავს საორიენტაციო ვიზიტებს და მოსწავლესა და მშობელს აცნობს მომავალ მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებელს. კლასის დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ინფორმაციას მისი მიღწევებისა და თავისებურების შესახებ, გეგმავს შეხვედრებს მომავალ თანაკლასელებსა და მშობლებთან და აცნობს მათ სკოლის ფიზიკურ გარემოს. აღნიშნული აქტივობის მიზანია მოსწავლისათვის სკოლაში ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა და მშობლებისთვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მათი მხარდაჭერა ბავშვის სათანადო მომზადებაში, რათა ტრანზიციის პროცესი სასიამოვნო და ნაკლებ სტრესული აღმოჩნდეს როგორც ბავშვისთვის, ისე მისი მშობლისთვის. სოციალურ ქსელში მუდმივად ზიარდება ინფორმაცია სკოლაში არსებული სხვა დამატებითი სერვისებისა და მომსახურების შესახებ. სკოლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შეუქმნას მათ ინკლუზიური და ადაპტირებული გარემო. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს დამრიგებლის მუშაობის ძირითადი პრინციპები, სადამრიგებლო საათის სარეკომენდაციო შინაარსი. აღნიშნული სარეკომენდაციო თემატიკა მოიაზრებს მოსწავლის ადაპტირების ხელშწყობა, რომელთა გამოყენებითაც ხდება მოსწავლის ახალ გარემოსთან ადაპტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სსიპ აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლა მუდმივად ხელს უწყებს მოსწავლეთა ადაპტაციას სწავლის დაწყების მომენტიდან. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პირველი კლასის დამრიგებელი პირველი კლასის მოსწავლეებისა და მშობლელისათვის გეგმავს ღია კარის დღეებს. სკოლაში შემოსვლის პირველ დღეს ტარდება საუბარი პირველკლასელებთან დამრიგებლის მიერ. პირველ კვირაში პირველკლასელები ეცნობიან სკოლის გეოგრაფიას. სად მდებარეობს--სველი წერტილები გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი და ა. შ. პირველი კვირის შემდეგ პირველკლასელებს ეძლევათ საშუალება შემოსასვლელი კარიდან საკლასო ოთახამდე მივიდნენ დამოუკიდებლად დახმარების გარეშე, ამ დროს მნიშვნელოვანია სკოლის მანდატურის და მორიგე მასწავლებლების განსაკუთრებული ყურადღება, რათა მოსწავლე სწორად აღმოჩნდეს ოთახში და ირწმუნოს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების.

კლასის დამრიგებელი ახალ გადმოსულ მოსწავლეს აცნობს კლასს, მოსწავლეს ამატებს კლასის საერთო ჩათში (13 წლის ზემოთ). ასევე ამატებს მშობელს მშობლების ჩათში, დამრიგებელი კრებს ინფორმაციას საგნის მასწავლებლებიდან, ასევე აკვირდება მოსწავლეს სხვადასხვა გარემოში (გაკვეთილებზე, დასვენებაზე, სკოლის გარეთ).

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების მხარდაჭერას მათ წახალისებას სხვადასხვა აქტიობებით, სპორტული ღონისძიებების მოწყობით რეგიონალურ თუ რაიონულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში მათ ჩართულობას. სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის დამრიგებლის პროგრამა და ადაპტაციის წესი. სკოლა მოსწავლეთა მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით აორგანიზებს სპორტულ თუ შემეცნებით აქტიობებს, პოეზიის საღამოებს და სხვა ღონისძიებებს, სადაც მოსწავლეები არაფორმალურ განათლების მიმართულებით იძენენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და რეგულარულად თვეში ერთხელ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით პირისპირ ან ელექტრონულად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. მოსწავლე იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდის წესი და რემედიაციის საკითხები, იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის წლიური შეფასება

იქნება 5 ქულაზე ნაკლები სკოლა ჩართავს მას რემედიაციის პროგრამაში და უზრუნველყოფს მოსწავლის სათანადო მხარდაჭერას, მასზე მორგებული სასწავლო პროგრამისა და მეთოდების შეთავაზებით. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაციით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობლის დროულ ინფორმირებას. სკოლა მოსწავლეს/ მშობელს / კანონიერ მეურვეს რეგულარულად, ინდივიდუალურად აწვდის მოსწავლის შესახებ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლისთვის, ასევე მისი მშობლისათვის / კანონიერი მეურვისათვის, ჟურნალის საშუალებით. გარდა ამისა, აღნიშნული მიმართულებით, საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ მოსწავლეებთან. სკოლაში დამრიგებლები ახდენენ მშობელთაინფორმირებას მათი შვილების აკადემიური მიღწევებისა და შესაბამისი მიზნობრივი საჭიროებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე აცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. მაგალითად, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. ასევე უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი, ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს რეფერირების პროცესს. ასევე, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ვაწვდით ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში მანდატურის სამსახური აკეთებს გადამისამართებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის, გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო

ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ასევე ინფორმაციას ვათავსებთ ელექტრონულადაც, რათა ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მშობლისთვის. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრას პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად სკჰოოლ-ის ბაზაში.

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ დარბაზს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებს და განხორციელების მექანიზმებს. დამრიგებელი წლის დასაწყისში ყველა მოსწავლესა და მშობელს აცნობს სასკოლო დოკუმენტაციას, კანონმდებლობას და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერის მექანიზმი. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა საკლუბო მუშაობა, ვცდილობთ მოსწავლეებს მივცეთ არაფორმალური განათლების საშუალება, ამ კუთხით მნიშვნელოვანია „კერვის დიზაინის კლუბი“, შთ კლუბი, მიმდინარე პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“, რომელშიც ჩართულია საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები.

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების ინტერესებს, აღნიშნული ინტერესების გამოკვეთა და მათი ინიციატივების მიღება ხდება მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, უკუკავშირის შედეგად იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი აქტივობები, რომელიც მიმართულია გამოკვეთილი პრობლემური საკითხების მოგვარებაზე, არსებული მექანიზმების გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, მასწავლებლები მოსწავლეებისგან იღებენ უკუკავშირს ცალკეული აქტივობის, გაკვეთილის, ან მთლიანი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ითვალისწინებენ მოსწავლეთა აზრს, შეაქვთ კორექტირება სასწავლო პროცესის, პროექტის, აქტივობის მიმდინარეობაში.
სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია, დიალოგში გაყოლა) მოსწავლეთა და დაინტერსებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლა მუდმივ გასაუბრებას აწარმოებს მოსწავლეებთან და ცდილობს გამოიყენოს მოსწავლეებისგან მიღებული უკაკავშირი, გაითვალისწინოს სამომავლოდ დაგემვისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადაპტაციის წესი;
- განხორციელებული პროექტები;
- შინაგანაწესი;
- რემედიაციის წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ზრუნავს სკოლის მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე. ამ მიზნით სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებლები კლასის საათზე აწვდიან ინფორმაციას სხვასდასხვა პროფესიების შესახებ, სკოლაში ამ მიმართულებით ხორციელდება აქტივობები. იგეგმება ვიზიტები ახლომდებარე პროფესიულ სასაწავლებელში. სკოლა თანამშრომლობდა ქალაქ ფოთის პროფესიულ კოლეჯთან „ფაზისი“ ,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრთან. სკოლამ განახორციელა საბაზო და საშუალო საფეხურის მისწავლეების ვიზიტი ორივე სასწავლებელში, დაათვალიერებინეს ინფრასტრუქტურა. ასევე, მოსწავლეები სტუმრობდნენ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს (KIU), სადაც შესაძლებლობა მიეცათ, ადგილზე გასცნობოდნენ სასწავლებლს, სიახლეებსა და მოესმინათ სასწავლო-შემეცნებითი კონფერენციაზე წარმოდგენილი პრეზენტაციები. სკოლა აორგანიზებს სხვადასხვა სასწავლებლის მიერ დაგეგმილ შეხვედრებზე მოსწავლეთა დასწრებას. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლას პროფესიულ სასწავლებელთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული აქვს წარმატებული სასწავლო პრაქტიკა. სკოლა რეგულარულად აწვდის კომპეტენტურ ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ყველა სიახლის შესახებ სამინისტროს მიერ განხორციელებულ რეფორმების საკანონმდებლო სიახლეების შესახებ, რომელი მათთანაა დაკავშირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ აფხაზეთის 7 საჯარო სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდოს განახლებული და სანდო ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; ვუზრუნველყოფთ უნივერსიტეტებთან შეხვედრების ორგანიზებას. პროფორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა და უნარები, რომელიც სჭირდება წარმატებული არჩევანის გასაკეთებლად. სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად ჩართულები არიან მეცხრე კლასის დამრიგებლები და ისინი პერმანენტულად აწვდიან ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ მოსწავლეებს, მათი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა სკოლა გეგმავს მიმართულების მეტად გამრავალფეროვნებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. წინარე გამოცდილება გვეხმარება უკეთ დავგეგმოთ სასწავლო წელი და გავითვალისწინოთ ყველა ის გარემოება, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას.
სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება, რითაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესება მიმდინარეობს. სკოლას არ აქვს მეთოდოლოგია, როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას. სამომავლოდ იგეგმება აღნიშულ საკითხზე მეთოდოლოგიის გაწერა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი;
- ერთწლიანი გეგმა;
- შვიდწლიანი გეგმა;
- ვიზიტის ფოტო მასალა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლაში შემუშავებულია დოკუმენტი, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით 2-30/ა 13.09.2024, დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა,

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი, ისგ-ს სხდომის ოქმები და სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გრაფიკები. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის, საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მონაწილეობით იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ და შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებასა და აუცილებელ რესურსებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის" 33-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და წერს დასკვნას. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი, მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრული შესაბამისი სპეციალური პედაგოგი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართულ პროაქტიულ აქტივობებს. ვიზიტის დროს ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან ინტერვიუ, ინტერვიუს დროს რესპოდენტმა გამოამჟღავნა არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება, ასევე აღწერა მრავალფეროვანი აქტივობები, რასაც ის გეგმავს და ახორციელებს. ისე ემოციურად საუბრობდა მოსწავლეზე, რომ ფაქტია სკოლის მიდგომა სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მიმართულებით გამართულად მუშაობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსიპ აფხაზეთის N 7 საჯარო სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმები გაწერილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია მოსწავლის მშობელი, რომელიც ხელს უწყობს საჭიროებების უკეთ განსაზღვრას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირება ხდება თუ მოსწავლეს აღენიშნება თანატოლებთან შედარებით სირთულეები სწავლაში და საჭიროა ესგ-ის მოდიფიცირება ან სასწავლო გარემოს ადაპტაცია ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. საგნის მასწავლებელი ატყობინებს დამრიგებელს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტს - სპეცილურ მასწავლებელსა და დირექციას. დირექცია აღნიშნულ ინფორმაციას აწვდის მოსწავლის მშობელ/კანონიერ წარმომადგენელსა და ორგანიზებას უწევს მოსწავლის კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექტორის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტსა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების შემთხვევაში მოსწავლის კლასის დამრიგებელი მიმართავს სპეციალურ მასწავლებელს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის შესახებ წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე. სპეციალურ მასწავლებელს, საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი ერთობლივად 10 სამუშაო დღის ვადაში აფასებენ მოსწავლის: აკადემიურ, მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქო-ემოციურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით იმუშავებენ რეკომენდაციებს, მასწავლებლების, კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექტორისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენელისათვის წარსადგენად. დამრიგებელი და მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ასრულებენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტის რეკომენდაციებს.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ-ს ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შედიან: სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და მშობელი, მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობელთა ერთობლივ საქმიანობას.

ისგ ჯგუფი იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ, სხდომებზე განიხილება სსსმ მოსწავლის მიმდინარე სასწავლო პროცესი, მოსწავლის მიღწევები თუ საჭიროებები, სწავლების სტრატეგიები, შესაბამისი რესურსების შექმნა-მომზადება, განმამტკიცებლების გამოყენება. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს, რომლებიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად. სკოლის სასკოლო - სასწავლო გეგმით რეგულირდება მოსწავლეთა, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რეგულაციები, საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად სკოლაში არსებული დამხმარე სერვისების შესახებ.

ინკლუზიური განათლების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. კითხვარები გათვლილია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის (დირექტორი, მშობლები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელიი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა პირები) და ემსახურება სკოლაში მიმდინარე პროცესების კვლევას აღნიშნული მიმართულებით. განსხვავებულობის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში იმართება სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღის აღსანიშნავად სკოლაში ინტერაქციული და ინტელექტუალურ- გასართობი აქტივობა „ააწყვე ფაზლი" განხორციელდა. ამავე დღის აღსანიშნავად სსსმ მოსწავლის ჩართულობით თემატური კედლის გაზეთები, პოსტერები და გულსაბნევები დამზადდა. აღნიშნული კედლის გაზეთები გამოიფინა სკოლის ფოიეში, ხოლო თემატური გულსაბნევები დარიგდა სასკოლო საზოგადოების წევრებში. სსსმ მოსწავლე მონაწილეობს არაფორმალურ აქტივობებში/პროექტებში. სკოლის საზოგადოება თანამონაწილეობის პრინციპით საკუთარი უფლება მოვალეობებების შესაბამისად ჩართულია სსსმ მოსწავლის ადაპტაციის შესაბამისი მოქმედებების განხორციელებაში. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სსსმ მოსწავლის საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული მოსწავლე აქტიურად ჩართული არის სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ გეგმა;
- ინტერვენციის გეგმები;
- მოსწავლის დასკვნა;
- ისგ ჯგუფის ბრძანება;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო მომსახურება

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო მომსახურება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო მომსახურება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მოსწავლეთა და მშობელთა სურვილებს და ადმინისტრაციის ინტერესებს. მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე ახორციელებენ ზეპირ განხილვებს. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას დაწყებით საფეხურზე ინაწილებენ კლასებს, წერენ ყველა საგნისთვის, კონკრეტულად სკოლის მოსწავლეებისთვის. შემდეგ საგნობრივი ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილავენ და ამტკიცებენ საბოლოო ვერსიას. მომდევნო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებისას პირველადი ვერსიის რევიზიის საფუძველზე შეიტანენ ცვლილებას. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ასახავს სურათს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თემის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. სასკოლო პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა იმ უნარებით აღჭურვას, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების მიერ მიზნად დასახული მისიისა და ხედვის განხორციელებას. სასკოლო პროგრამაში წარმოდგენილია სხვადასხვა საგნის ჭრილში დაგეგმილი პროექტული დავალებები, რომელთა მიზანიცაა ამა თუ იმ საგნობრივი მიზნების პარალელურად გავიდნენ ზესაგნობრივ პრიორიტეტულ თემებზე.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგანაც ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და აკადემიურ უნარებს, ასევე სკოლაში არსებული კლუბების, წრეების და სასკოლო პროექტების მუშაობას. სკოლას აქვს სასკოლო -სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო და საკლუბო ან წრიული მუშაობის პროგრამები, რომელთა შინაარსი შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა საგნის შინაარსობრივი საკითხების შერჩევისას. კურიკულუმში ისეთი დავალებები აქვთ გაწერილი, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის მისია, მოსწავლეთა საჭიროებები და სასკოლო სივრცე. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამები-

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ისევე როგორც პედაგოგებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესისთვის შერჩეული თემები და საკითხები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და თანხვედრაშია თითოეულ საგნობრივ სტანდარტთან. პედაგოგები ყველა კლასში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებულ მიგნებებს (სადიაგნოსტიკო წერების, შემაჯამებელი დავალებებისა თუ ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე), აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ქმნიან/მოდიფიცირებას უკეთებენ შემოქმედებით დავალებებს, გეგმავენ ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებებს მომდევნო სასწავლო წლისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტები, ე. წ. კურიკულუმების ჩარჩოები მრავალფეროვანია და საშუალებას იძლევა მოერგოს სხვადასხვა ინტერესისა თუ საჭიროების მქონე მოსწავლეს, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინონ სასწავლო გეგმის განახლება. აღსანიშნავია, რომ მშობელთა უკუკავშირებზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებისა და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად აქტიური და პოზიტიური.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, განხილვა მიმდინარეობდა ღია განხილვების ფორმატში, სადაც თითოეულ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ისევე როგორც კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და დირექციის ურთიერთთანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობებიდან გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით.

კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მათი განხორციელებისთვის საჭირო სათანადო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს.

პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად შემოქმედებითი ბუნების დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. კათედრები იყენებენ კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და

ფუნქციის გააზრებას. საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, შემაჯამებლების ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულებია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმების გაზიარება ხდებოდა სასკოლო საზოგადოებაში ძირითადად მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. მშობლებს მთელ კურიკულუმს არ აცნობენ დეტალურად, არამედ უგზავნიან მხოლოდ შემოქმედებითი დავალებების ბარათებს. მშობელთა კრებების ოქმები გვიჩვენებს, რომ სკოლის დირექცია და დამრიგებლები საგნის პედაგოგებთან ერთად აქტიურად აცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს დაგეგმილ სასწავლო პროგრამას.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 1 - სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი 18 - მშობელთა კრების ოქმი;
- კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტები;
- კომპლექსური დავალებები;
- გაკვეთილის გეგმები.
- კათედრების ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პროექტის გეგმები/ფოტო სურათები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული მისიის შესაბამისად, სკოლა ვალდებულია შექმნას მოსწავლეზე ორიენტირებული და უსაფრთხო გარემო. ავტორიზაციის დოკუმენტებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების ფორმები და მასწავლებლების რეფლექსია აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.** **<u>რჩევები</u>** ***<u>დაწყებითი საფეხური</u>*** დაწყებით კლასებში შემსვლელ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ბუნებისმეტყველების სტანდარტის შედეგები და სამიზნე ცნებები. თუმცა, კურიკულუმებში საჭიროა შემდეგი ტექნიკური უზუსტობების გასწორება: III და VI კლასის საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს გამორჩენილი სამიზნე ცნებები, IV კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს თემები, I-VI კლსების განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებების რუბრიკებშიც დაზუსტდეს სამიზნე ცნებები. ***<u>საბაზო საფეხური</u>*** საბაზო საფეხურზე შემსვლელ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩოს სავალდებულო ველები. თუმცა, საჭიროა შემდეგი ტექნიკური უზუსტებების აღმოფხვრა: VII და IX კლასების ფიზიკის საგნის კურიკულუმებში აისახოს გამორჩენილი სამიზნე ცნებები; VIII კლასის ბიოლოგიის საგნის კურიკულუმში და განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებების რუბრიკებშიც სამიზნე ცნებების ველში, ზედმეტად წერია „კვლევა“; VIII-X კლასების ქიმიის საგნის კურიკულუმებში სრულად აისახოს ჩარჩოს ყველა ძირითადი ველი. ***<u>საშუალო საფეხური</u>*** საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩოს სავალდებულო ველები, თუმცა

	საჭიროა ტექნიკური ხარვეზების გასწორება. კერძოდ, XII კლასის ფიზიკის საგნის კურიკულუმში „ასტროფიზიკის“ ნაცვლად წერია „სამყაროს ფიზიკა“. XI–XII კლასების ბიოლოგიის საგნის კურიკულუმებში საჭიროა სახელმძღვანელოების ავტორების მითითება და შეფასების რუბრიკებში თემის სათაურის დამატება, ხოლო XI და XII კლასების ქიმიის საგნის კურიკულუმებში სრულად უნდა აისახოს ჩარჩოს ყველა ძირითადი ველი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. შუალედური მიზნები, ანუ კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია და კავშირშია სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან, სავალდებულო თემებთან და რესურსებთან. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ რომ ისინი კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. **<u>რჩევა:</u>** სასურველია დაწყებით (ჩვენი საქართველო), საბაზო (მოქალაქეობა) საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებს დაემატოს კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებსა და მის შედეგებზე გასვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს. იგი უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების თანმიმდევრულ, დინამიკურ და გრძელვადიან პროცესს სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე. კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სასწავლო თემატიკა და აქტივობები შერჩეულია სკოლაში არსებული რესურსებისა და გარემო პირობების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ენობრივი უნარების ეტაპობრივ და ეფექტიან განვითარებას. **<u>რჩევა:</u>**კურიკულუმსა და შემოქმედებით დავალებებში მეტად იყოს ინტეგრირებული დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, რათა უკეთ მოხდეს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა და მხარდაჭერა.

ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** სკოლას სამივე საფეხურზე აქვს გამართული სასკოლო კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმები შეესაბამება ესგ -ს მიხედვით წარმოდგენილ თემებს და საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე, ჩანს თემა, რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლა იყენებს კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოს, რომელიც ერთნაირია ყველა საფეხურისა და კლასისთვის. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი პრიორიტეტს ანიჭებს მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და მის ინდივიდუალურ საჭიროებებს. კურიკულუმის სტრუქტურა — თემატური მიმართულებები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებები და რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის წინარე გამოცდილების გააქტიურებასა და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე. პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასკოლო საზოგადოება კარგად აცნობიერებს კურიკულუმს, როგორც სწავლების მთავარ ორიენტირს. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება გრძელვადიან მიზნებზე, ხოლო შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ხელს უწყობს არა მხოლოდ თეორიული მასალის ათვისებას, არამედ პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის

	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებენ ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა. თითოეული თემა გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ასკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება, ქართული, მათემატიკა, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კურიკულუმები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სკოლაში ფუნქციონირებს STEM კლუბი (VII–XI კლასები), ფიზიკის წრე „კვანტი“ (VIII–IX კლასები), მიმდინარეობს პროექტული სწავლება და

	ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. არაფორმალური განათლების ფარგლებში, II კლასში მარტვილის კანიონის მიმდებარედ ჩატარდა გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი (ბუნება, ხელოვნება). STEM კლუბი ასევე ჩართული იყო საერთაშორისო პროექტში „მომავლის საქართველო“, რომლის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ეპიკური სკოლა“. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემა, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, დავალების იდეა/მიზანი, რესურსები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახორციელებენ საინტერესო პროექტებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს. კათედრას ისტორიაში, მოქალაქეობაში, გეოგრაფიაში წარმოდგენილი აქვს საინტერესო პროექტები, რომლებიც ეროვნული და პატრიოტული ფასეულობების ჩამოყალიბებას, დემოკრატიული კულტურის განვითარებას, მდგრადი განვითარების მიზნების გააზრებას ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობაზე. კურიკულუმი მიზნად ისახავს კომუნიკაციური უნარების, კულტურული ცნობიერების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ასევე დამოუკიდებელი სწავლის უნარის განვითარებას. სას წავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ უცხოურ ენაზე(ინგლისური,რუსული,აფხაზური) ეფექტური კომუნიკაცია, საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა, თანამშრომლობა და კულტურათაშორის გარემოში წარმატებული ინტეგრაცია. კურიკულუმი ასევე ხელს უწყობს ფუნქციური და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე საგანმანათლებლო და სოციალურ სივრცეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	<u>რჩევა:</u> აფხაზური ენა სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი საგანი რეკომენდებულია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული თითოეული საფეხურის მიზნები, შედეგები და რესურსები.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის სავალდებულო ან და სარეკომენდაციო თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მუსიკა/ხელოვნების მიხედვით. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში, პედაგოგები სწავლების სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **<u>რჩევა:</u>** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს ,,კონტექსტმაგალითის“ გრაფაში ინფორმაცია შეიტანონ ლაკონურად და ზუსტად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნები ასახულია კომპლექსურად. დოკუმენტაცია მოიცავს ყველა სავალდებულო კომპონენტს: სასწავლო თემებს, საკითხებს, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, საფეხურებრივ შედეგებსა და შესაბამის რესურსებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის გადაცემაზე, არამედ ფუნქციური/ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. რაც

	ძირითადად შემოქმედებითი/ კომპლექსური დავალებებისა და პროექტების მეშვეობით ხორციელდება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებელს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლებას უფრო ინტერაქტიულსა და მოსწავლეზე

	ორიენტირებულს ხდის. აღნიშნული რესურსები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სახით წარმოდგენილია ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსების ბმულები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ თანამედროვე, სწრაფად ცვლად სამყაროში, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი, მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსების გამოყენება, ამიტომ გეგმავნენ მათ დახვეწაასა და გაუმჯობესებას. **<u>რჩევა:</u>** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და პედაგოგებთან გასუბრების შედეგად გამოიკვეთა,რომ უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ეფექტიანად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის ორგანიზებას. კურიკულუმის ფარგლებში პედაგოგები იყენებენ სხვადსხვა საგანმანათლებლო რესურსებს, მათ შორის დიგიტალურ, აუდიოვიზუალურ, ინტერაქტიულ და ბეჭდურ მასალებს, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, აქტიურ ჩართულობასა და სწავლის ხარისხს. **რჩევა:** რეკომენდებულია, სასწავლო პროცესში კიდევ უფრო მეტად დაინერგოს მრავალფეროვანი და დიფერენცირებული რესურსები, განსაკუთრებით აფხაზური ენის სწავლების მიმართულებით. სასურველია, რესურსები მეტად იყოს ინდივიდუალიზებული და მორგებული მოსწავლეთა განსხვავებულ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, რესურსების მიზნობრივ გამოყენებას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერებას.

ესთეტიკური აღზრდა	**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **მუსიკა/ხელოვნება:** სამივე საფეხურის კურიკულუმში მრავლად ვხვდებით ელექტრონული რესურსების ლინკებს, ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს. გვერდების მითითებით. ელექტრონული რესურსი მრავლადაა მითითებული ხელოვნების კურიკულუმებში სამივე საფეხურზე რომელთა უმეტესობა მოქმედია და ხელს უწყობს მოსწავლეს, სრულყოფილად გაიაზროს და შეისწავლოს საკითხი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** V კლასის მუსიკის კურიკულუმში, რესურსების სვეტში არაა მითითებული სახელმძღვანელო. მხოლოდ სარეკომენდაციო მოსასმენი მასალის ჩამონათვალია. საჭიროა მეთითოს გრიფმინიჭებული სახლემძღვანელოც შესაბამისი გვერდებით.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე (თვალსაჩინოება, ფოტოები, ფილმები, ზეპირი გადმოცემები, რუკები...) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ეს რესურსები არის მრავალფეროვანი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული და მოსწავლეს უქმნის არჩევანის საშუალებას. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თვითონაც ქმნიან და იყენებენ რესურსებს: **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს გამოყენებული რესურსების მრავალფეროვნება და მათი შინაარსობრივი ვალიდობა. სკოლაში მათემატიკის სწავლება ეყრდნობა როგორც ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მდიდარ დამხმარე საგანმანათლებლო მასალებს.

	განსაკუთრებით აღსანიშნავია ციფრული და ონლაინ რესურსების ინტეგრირება ყოველდღიურ პრაქტიკაში. კერძოდ: პროგრამა GeoGebra, რაც მათემატიკური კანონზომიერებების უკეთ აღქმას უწყობს ხელს; დამხმარე პლატფორმები: „ტელესკოლის“ ვიდეო-გაკვეთილები, „ხანის აკადემიის“ (Khan Academy) ინტერაქციული მასალები და სკოლის რესურსები; პედაგოგები პროფესიონალურად იყენებენ math.ge-ს ბაზას, ახდენენ მასალების ადაპტირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ რესურსების ასეთი სინთეზი ხელს უწყობს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) სიღრმისეულ ათვისებას. <u>**რჩევა:**</u> სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში მითითებული ელექტრონული რესურსები. კერძოდ, ზოგიერთ თემასთან დაკავშირებული ჰიპერბმულები (ლინკები) ამჟამად არ იხსნება ან დაზიანებულია. რეკომენდებულია ამ ბმულების განახლება ან ალტერნატიული, „მუშა“ რესურსებით ჩანაცვლება, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არ შეექმნათ დაბრკოლება მასალებზე წვდომისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ფხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი ლაშქრობა და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება

	ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სტანდარტებით გათვალისწინებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისად. ასევე, სკოლას გააჩნია დამხმარე რესურსები, ბროშურები, პროექტორი და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **<u>რჩევა:</u>** სასურველია ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია, დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთ-ერთ ძირითად მეთოდიკურ ორიენტირად განსაზღვრულია სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მოსწავლეთა განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, სკოლა ვალდებულია შექმნას სასწავლო გარემო, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალურ მიდგომებს და მოიცავს სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემის გადაჭრის გზებისა და აქტივობების გამოყენებას. ქიმიის მასწავლებელი, მე-8 კლასში ჩატარებული გაკვეთილის ანალიზისას, ყურადღებას ამახვილებს იმის შესახებ, რომ მომავალში საჭიროა მეტი დიფერენცირებული დავალებების შეთავაზება. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. რის შედეგადაც, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, მოსწავლეზე ორიენტირებული და ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები , ადაპტირებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის სპეციალურ მასწავლებელთან. მრავალფეროვანი აქტივობების და რესურსების გამოყენებით ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, რაც ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით და წარმოდგენილი კურიკულუმებით გამოიკვეთა,რომ პედაგოგები ცდილობენ სასწავლო აქტივობებისა და მეთოდების მრავალფეროვნებით უზრუნველყონ მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება, თუმცა აღნიშნული მიმართულებით საჭიროებს დამატებით გაძლიერებას დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკული

	გამოყენება და შესაბამისი სტრატეგიების სისტემური ინტეგრირება სასწავლო პროცესში **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** რეკომენდებულია, პედაგოგებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები, ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი აქტივობები და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს კიდევ უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბებას და ყველა მოსწავლის სრულფასოვან მონაწილეობას სასწავლო პროცესში.
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იმგვარადაა დაგეგმილი რომ გათვალისწინებულია დიფერენცირება. სკოლის მიერ ატვირთული ფოტომასალიდან, გაზიარებული ლინკებიდან და გასაუბრებიდან ჩანს რომ მასწავლებლები მუდმივად ახორციელებენ სასკოლო თუ საქალაქო პროექტებს, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი პროექტებია „ჩემი ქალაქი“; „რა არის ოპერა“, „ერთი ერთში“ და სხვა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ მასში ორგანულადაა ინტეგრირებული დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების პირობები, კრიტერიუმები და აქტივობები აგებულია „მარტივიდან რთულისკენ“ პრინციპით, რაც სხვადასხვა მზაობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თანაბრად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის შერჩევისას, რაც ხელს უწყობს მათი ინდივიდუალური პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას. პედაგოგთა უკუკავშირი და წარმოდგენილი მასალები (სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც შემოქმედებითი ასევე შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, ანალიზით.) ადასტურებს, რომ სკოლაში

	მიმდინარეობს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი და მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული ინდივიდუალური მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები ინტერვიუს მსვლელობის დროს. სკოლა დაწყებითი საფეხურის მე-3 კლასში აქვს წარმოდგენილი ინდ გეგმა, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს მუშაობა სსმ მოსწავლისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამუშავებული და მორგებულია მოსწავლეების საჭიროებისადმი, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს სსმ მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ მოსწავლისადმი მიდგომა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ ავტორიზაციის მასალებში ასახული საბუნებისმეტყველო მეცნიერების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემოქმედებითი ბუნების დავალებების ანალიზი და დიაგნოსტირება 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, ორიენტირებულია როგორც სწავლის შედეგზე, ისე სასწავლო პროცესზე და უზრუნველყოფას სწავლა-სწავლების ეფექტიანობას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში (მიმართულება - „კურიკულუმის განვითარება-დანერგვა, პუნქტი 3) აღნიშნულია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების განსაზღვრის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს ,რომ სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში ჩამოყალიბებულია შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა,

	რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სწავლის შედეგების შეფასებასა და მათი პროგრესის მხარდაჭერაზე.. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, პედაგოგები უფრო სიღრმისეულად გაეცნონ შეფასების თანამედროვე მიდგომებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ასევე აქტიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები, მკაფიო რუბრიკები და განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ეფექტიან მხარდაჭერასა და შეფასების სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა/ხელოვნება: სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამომდინარეობს თემებიდან, თუმცა მისი ფორმა ზოგიერთ შემთხვევაში შაბლონურ ხასიათს ატარებს. თუმცა ვხვდებით რამდენიმე კარგად გაწერილ შეფასების რუბრიკასაც, რომელიც გვაძლევს იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ სკოლას გააჩნია შესაბამისი რესურსი რომ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკა, რომელიც იქნება კონკრეტულ თემებზე და ცნებებზე მორგებული და რელევანტურად შეამოწმებს მოსწავლის ცოდნას და უნარებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** რადგან სკოლას არ აქვს არჩეული შეფასების მეორე მოდელი, საჭიროა კათედრამ შეფასების რუბრიკები დაწყებით და საბაზო საფეხურზე 10 ქულიანი პრინციპით ააწყოს ნაცვლად ექვსი ქულისა. მუსიკაში წარმოდგენილია 6 ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო ხელოვნებაში 10 ქულიანი.
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების მიდგომებში ძირითადად გათვალისწინებულია ესგ-ში განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ზოგად დოკუმენტებში, რეფლექსიებში სწორად არის ასახულია ეს მიდგომები, მოცემულია ე. წ. მოლოდინების რუბრიკები, შესავლელი და გასავლელი ბილეთები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ცხრილები, სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ (მე-5 კლასი მეორე სემესტრი-მე-12 კლასის ჩათვლით, საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების დროს) შეფასებებს. სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების რუბრიკებში სტანდარტის

	სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები მისადაგებულია საკითხებსა და შეფასების კრიტერიუმებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, სადაც დაბალანსებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი კომპონენტები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე, რაც მასწავლებელს ეხმარება სწავლების მეთოდური ორიენტირების სწორად შერჩევაში, ხოლო მოსწავლეს — საკუთარი ნაშრომის რეფლექსიასა და თვითშეფასებაში. პედაგოგთა უკუკავშირით დასტურდება, რომ ეს ინსტრუმენტები ეფექტურია მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისთვის. განმსაზღვრელი შეფასების წარმოდგენილი რუბრიკები, ზოგადად ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა დოკუმენტაციის დათვალიერებისას შეინიშნება გარკვეული სტრუქტურული არაერთგვაროვნება, რაც შეფასების სქემების ტექნიკურ დაზუსტებას საჭიროებს **<u>რჩევა:</u>** ამჟამად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ არის ერთგვაროვანი — ზოგიერთი თემის შეფასება გათვლილია 6-ქულიან სისტემაზე, ნაწილი კი 10-ქულიანზე. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დანერგოს ერთიანი 10-ქულიანი შეფასების სისტემა ყველა სასწავლო ერთეულისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ბუნდოვანება და დაცული იყოს ობიექტურობის პრინციპი. ასევე, სასურველია თითოეული სასწავლო ერთეულისა თუ დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ განიმარტოს, თუ ესგ-ის რომელ კონკრეტულ შედეგზე გადის მოცემული აქტივობა. და შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს მოსწავლისთვის მარტივად გასაგებ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების

	დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კონრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული, აფხაზური);
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები;
- შემოქმედებითი დავალებებები (ინგლისური ენა, რუსული ენა) შუალედური სასწავლო მიზანი, შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები, რეფლექსიები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- შემოქმედებითი ბარათები;
- გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა/უკუკავშირები;
- ისგ დოკუმენტაცია;
- გაკვეთილის გეგმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები. სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ჯგუფმა კათედრის ოქმში ცალკე საკითხად დაგეგმა კურიკულუმის განხილვა/ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში (მუხლი 2- „ხარისხის უზრუნველყოფა“) დეტალურადაა აღნიშნული, რომ ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პროგრამების და მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი და შეფასება, რათა შენარჩუნდეს სწავლების ხარისხი და ეფექტიანობა.

	ავტორიზაციის მასალებში სკოლამ წარმოადგინა I კლასის კურიკულუმის პირველი სემესტრის რეფლექსია. ასევე, 2025 წლის 30 დეკემბრის კათედრის ოქმში განხილულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმების (I–XII კლასები) რევიზიის საკითხი. ჩატარებული გაკვეთილის შემდეგ კი მასწავლებელი წერს რეფლექსიას და იღებს უკუკავშირს დირექციისა და კოლეგებისაგან. ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა, ოქმები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აანალიზებენ შედეგებს,ერთმანეთს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს და ითვალისწინებენ ახლი კურიკულუმის შემუშავების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) სწავლების პროცესი დაგეგმილია და სრულად შესაბამისობაშია სკოლის კურიკულუმის მოთხოვნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან. ყველა საფეხურზე გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას.. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** რეკომენდებულია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მეტყველებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას ამის მხარდამჭერად აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის დაგეგმვასაც. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. პედაგოგები მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უწევენ რევიზიას და საჭიროების მიხედვით აკორექტირებენ კურიკულუმს.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. შემოქმედებითი დავალების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, კათედრის სხდომის ოქმები და მასწავლებელთა ანგარიშები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს მექანიკურად, არამედ წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილ პროცესს და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო პროგრამას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში მათემატიკის სწავლების პროცესი წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმის პრაქტიკულ რეალიზაციას. დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კურიკულუმი არ არის ფორმალური გზამკვლევი, არამედ ცოცხალი სამუშაო დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ყოველდღიური სასწავლო აქტივობების შინაარსსა და ლოგიკას. წარმოდგენილია გაკვეთილის გეგმები (მაგ: “ ამოცანების ამოხსნა განტოლებების მეშვეობით“ მე-6 კლ; „პროპორცია“ მე-7 კლ) შემოქმედებითი დავალებებისა და პროექტების (მაგ: „ხელსაყრელი შემოთავაზების არჩევა“ მე-9კლ; „ოქროს კვეთა“ მე-11 კლ) შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ, შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით

	ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამის შესახებ მასწავლებლის ინტერვიუშიც გამოიკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილი წლიური სასწავლო პროგრამა თითოეული საგნისადმი/საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რემედიაციის პროცესების აღმწერი დოკუმენტები და მასწავლებელთა ინტერვიუები ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რომ ადვილად გაუმკლავდნენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ დაუგეგმავ გამოწვევებს.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ განმავითარებელი შეფასება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ მიდგომას და მოიცავს თვითშეფასებას, კრიტერიუმების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობასა და შეცდომების მართვაზე პასუხისმგებლობის აღებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა რეფლექსიას საკუთარი სწავლის პროცესზე. შეფასების რუბრიკა ნათლად ასახავს, თუ რომელ

	სწავლის შედეგს პასუხობს შეფასება. შეფასების სქემა კი იძლევა შესაძლებლობას, რომ შემფასებელი მარტივად მივიდეს საერთო შეფასებამდე. ინტერვიუს ფარგლებში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და როგორ შეფასდება შესრულებული სამუშაო. შესაბამისად, შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, გამჭვირვალობით, სანდოობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პედაგოგის მიერ გაწერილი შეფასების ინსტრუმენტი. კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) შეფასების რუბრიკები, ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ძირითადად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და ორიენტირებულია შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის კრიტერიუმები და ინსტრუმენტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ შეფასებას.შეფასების კრიტერიუმები მეტწილად არის წინასწარ განსაზღვრული. თუმცა, შეფასების სისტემის კიდევ უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის საჭიროა შეფასების პრაქტიკის დახვეწა და შეფასების ინსტრუმენტების მეტად სტანდარტიზება.მაგ: შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებები იყოს უფრო მრავალფეროვანი, ღია ტიპის და ორიენტირებული მოსწავლეთა ანალიტიკური, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე..**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** სასურველია პედაგოგებმა აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება, დეტალური რუბრიკები და დიფერენცირებული შეფასების მეთოდები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. კათედრის შეხვედრის დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ მიღწევების, არამედ მოსწავლის შემდგომი განვითარების სტიმულირებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია, კრიტერიუმები ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება, ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ და სამართლიან ასახვაზე. წარმოდგენილი რუბრიკები პირდაპირ ზომავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კომპეტენციებს. შეფასების შედეგები თანმიმდევრულია და სრულად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სასწავლო პროცესის მონაწილეებისთვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს : მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, შედეგების ანალიზი და პედაგოგთა რეფლექსიები, ადაპტირებული შეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. **<u>რჩევა:</u>** შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტი ობიექტურობისთვის, სასურველია გადაიხედოს საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგიერთი შემაჯამებელი რუბრიკა; კერძოდ, მნიშვნელოვანია დაინერგოს შეფასების ერთიანი სტრუქტურა (სასურველია 10-ქულიანი სისტემა) და კრიტერიუმები გახდეს ნაკლებად ზოგადი და მაქსიმალურად სპეციფიკური. ეს ხელს შეუწყობს სუბიექტური ფაქტორების გავლენის გამორიცხვას და უზრუნველყოფს შეფასების სრულ შესაბამისობას მათემატიკის სტანდარტის კონკრეტულ მიზნებთან.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	მასწავლებლები გაკვეთილის წარმართვის დროს აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას- სიტყვიერ კომენტარს, კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის მიერ მოწოდებულ რუბრიკებში ნათლად იკვეთება ეს ყოველივე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება , რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ნათელ სურათს გვიქმნის იმისას, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა მტკიცედ ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირნი(კათედრის ხელმძღვანელები, კათედრის წევრები, წამყვანი მასწავლებელი და დირექციის წევრები), რომლებსაც ევალებათ აღნიშნული პროცესების მართვა/კონტროლი.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების“ დოკუმენტის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას 3 წლის ვადით, როგორც სკოლის არქივში, ისე, ელექტრონულად; ელექტრონული მონაცემები სათანადოდ დაცულია მომხმარებლის პაროლით. ამასთანავე ხდება მოსწავლის პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორი 2.2.1..5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო/სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის ძშემუსავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
- სანობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსრეუმენტები
- შეფასების ვერუფიკაციის მექანიზმი
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების რეფლექსიები

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- კომპლექსური დავალების ნიმუშები
- განხორციელებული პროექტების ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი ჩამონათვალი. დოკუმენტურად წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული რესურსების ფოტო მასლა, არსებული რეაქტივების ჩამონათვალი და ლაბორატორიით სარგებლობის უსაფრთხოების ზოგადი წესები. STEAM განათლების მიმართულებით, საერთაშორისო პროექტ - „მომავალი საქართველო“ მიზნებიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა მასწავლებელთან თანამშრომლობით შქმნეს ინოვაციური რესურსები. სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულებიდან საფუძველზე, სკოლა უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ასახულია საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებსა და შესაბამის გაკვეთილის გეგმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, გრიფმინიჭებული და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ სამუშაო რვეულებს, რუკებს, გლობუსებს, პოსტერებს, დამატებითი ელექტონული სასწავლო რესურსებს (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული ბმულები). სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, რაც საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებას უწყობს ხელს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით მიმდინარეობს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსს, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობასა და სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობასუცხოური ენების კურიკულუმში ძირითად სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელო, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და სტანდარტებს. დამატებით გამოიყენება მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. სხვადასხვა თემების სწავლებისას მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ სახელმძღვანელოსა და დამატებითი წყაროების ინტეგრირებას, კურიკულუმებში მრავლადაა ჩაშენებული ლინკები, რომლებიც მოქმედია და დაკავშირებულია სამიზნე ცნებებთან და საკითხებთან. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და პირდაპირ ემსახურება კომპლექსური დავალებების წარმატებით შესრულებასა და მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის სწავლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ეყრდნობა მეთოდოლოგიურად გამართულ და მრავალფეროვან საგანმანათლებლო ბაზას. რესურსების შერჩევა ხდება მათემატიკის

	მასწავლებლების მიერ, რაც უზრუნველყოფს მათ სინქრონიზაციას კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან და მოსალოდნელ შემოქმედებით პროდუქტებთან. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, პედაგოგები აქტიურად იყენებენ დამხმარე თვალსაჩინოებებსა და მულტიმედიურ საშუალებებს, რაც ზრდის სწავლების დინამიკურობას. ონლაინ პლატფორმებისა და „ტელესკოლის“ და "ხანის აკადემიის" გაკვეთილების გამოყენება ხელს უწყობს მასალის მრავალმხრივ გააზრებას და მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. გამოყენებული რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებასა და ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) გრძელვადიანი მიზნების რეალიზებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბაკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლის ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. **<u>რჩევა:</u>** სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ. ბმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საგნობრივი ჯგუფის დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია საგნობრივი ჯგუფის მიზნები და ამოცანები, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლამ დამატებით დოკუმენტაციაში წარმოადგინა „დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი“. აღნიშნულ დოკუმენტში, ზოგად დებულებებთან ერთად, დეტალურადაა გაწერილი ვალიდაციის მიზანი, კომისიის წევრები და მათი კომპენტენცია, დამხმარე სასწავლო რესურსის შეფასების კრიტერიუმები, ვალიდაციის პროცედურა და პასუხისმგებლობის საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში საბუნებისმეტყველო კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების რესურსებში ასახულია სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფმინიჭებულია და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. კათედრას აქვს მზაობა თავად შექმნან დამატებითი რესურსები და მოახდინონ მათი ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვასა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების კათედრაზე აღნიშნული პროცესი ხორციელდება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და შეთანხმებული მიდგომებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

	<u>რჩევა:</u> სასურველია, სკოლამ სისტემატურად განახორციელოს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შეფასება და პერიოდული განახლება, რათა სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს თანამედროვე, სანდო და დადასტურებული რესურსები, რომლებიც მაქსიმალურად უპასუხებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებს
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** დამხმარე სასწავლო რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებიდან, ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. რადგან სკოლა გეგმავს ყოველწლიურად განაახლოს კურიკულუმები, შესაბამისად სასწავლო რესურსების გადახედვაც ყოველწლიურად მოხდება. დამხმარე სასწავლო რესურსებში გათვალისწინებულია საგნობრივი სპეციფიკა, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ რესურსებს იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **<u>რჩევა:</u>** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და შემოწმების მექანიზმი. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მათემატიკის კათედრა განიხილავს და ათანხმებს იმ დამხმარე მასალებს, რომლებიც გამოიყენება სწავლის ხარისხის ასამაღლებლად. ვალიდაციის პროცესი ორიენტირებულია რესურსების შინაარსობრივ სიზუსტეზე, მათ შესაბამისობაზე მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან. მრავალფეროვანი ონლაინ თუ მატერიალური რესურსების წინასწარი გადარჩევა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულობას. **<u>რჩევა:</u>**

	რესურსების ვალიდაციის პროცესში მეტი სისტემურობის შესატანად, სასურველია კათედრამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ციფრული მასალების ტექნიკურ გამართულობას. კერძოდ: პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ჰიპერბმულების (ლინკების) მუშაობა, რათა გამოირიცხოს დაზიანებულ ან გაუქმებულ რესურსებზე გადამისამართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა სწავლის პროცესში ელექტრონული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს შემუშავებულ რესურსებს, ელექტრონული და მატერიალური სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება --- ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლას აქვს: • საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; • თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი STEAM ლაბორატორია; • ვირტუალური ლაბორატორიის ელექტრონული პროგრამა (ფიზიკა, ქიამია). საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლებას უფრო ინტერაქტიულსა და მოსწავლეზე ორიენტირებულს ხდის. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები. ისინი გამდიდებულია ტექსტებით, რუკებით, ცხრილებით, დიაგრამებით, რომლებიც სხვადასხვა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე აქვს რუკები, გლობუსები, თვალსაჩინოება, ინტერნეტი, პროექტორი, კომპიუტერები, რომლებიც დამატებითი ციფრული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. სასწავლო პროცესი მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებსა და არაფორმალური განათლების ელემენტებს(კლუბურ მუშაობას), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი უნარების, კომუნიკაციური კომპეტენციებისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (პროექტების, ფოტომასალის და წარმოდგენილი სხვადასხვა

	სახის დოკუმენტაციის) საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ რომ სკოლაში სამივე საფეხურის ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სკოლის მიერ შეთავაზებული აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა სამივე საფეხურზე ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გადასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თვითონ ქმნიან და იყენებენ რესურსებს. <u>**რჩევა:**</u> სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და ისედაც იყენებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა წარმატებით ახორციელებს კურიკულუმით დასახული მიზნების რეალიზებას ფიზიკური და ტექნიკური რესურსების ოპტიმალური გამოყენებით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის მკაცრი დაცვა და სასწავლო სივრცის რაციონალური მოწყობა ქმნის ხელსაყრელ გარემოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პოტენციალის გამოსავლენად. სასკოლო გარემო სრულად არის ადაპტირებული სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასთან, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, შეუფერხებლად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, რაც აუცილებელია მათემატიკის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობების სრულფასოვნად განსახორციელებლად. არსებული მატერიალური ბაზა იძლევა დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების საშუალებას, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურ მიღწევას. ამგვარად, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა სრულად პასუხობს სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვენტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას. სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი და კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსით და ინვენტარით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. <u>რჩევა:</u> სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

აფხაზეთის N 7 საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში არის 27 მასწავლებელი, მათ შორის 1 არის წამყვანი მასწავლებელი, 23 კი უფროსი. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი და სსსმ მოსწავლის 3 ინდივიდუალური ასისტენტი. პედაგოგიური კადრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან წარმართვას. მასწავლებელთა კვალიფიკაცია ძირითადად შესაბამისობაშია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკის მასწავლებლებს არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები, ასევე, დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასები) ხელოვნების საათებს ატარებენ შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე მასწავლებლები; სკოლამ სცადა ამ საკითხის მოგვარება, ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი, ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ განთავსებულია შესაბამის საიტზე, მაგრამ ვაკანსიის შევსება ვერ მოხერხდა, რადგან არ გამოჩნდა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი. აღსანიშნავია ასევე, რომ მუსიკის მასწავლებლები გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმითა და შემოქმედებითი წარმატებებით, სკოლის სახელით მონაწილეობენ მრავალ პროექტსა და კონკურსში და აქვთ გარკვეული წარმატებები; სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მუსიკის მასწავლებლები დარეგისტრირებული არიან მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე. სკოლა იღებს ვალდებულებას დაეხმაროს აღნიშნულ მასწავლებლებს პროფესიული განვითარების თვალსაზრისით; სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სწავლების სამივე საფეხურზე აღნიშნულ ვადებში (01.04.2026-01.09.2026) გეგმავს: 1.მუსიკის და დაწყებითი საფეხურის ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადება; 2.საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნა კანონმდებლობის შესაბამისად; 3.კონკურსის ეტაპების განხორციელება; 4.შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;

ინდიკატორი 2.2.2.4. მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- რემედიაციის პროგრამა.
- დასაქმებულთა პირადი საქმე
- eschool-ის ბაზა.

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

○ ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლა აწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას, ისე როგორც ეს აღწერილია მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. კათედრების მიერ შემუშავებულ სასწავლო წლიურ პროგრამას მონიტორინგს უწევს თავად საგნის პედაგოგი-სადიაგნოსტიკო წერებისა თუ შემაჯამებელი დავალებების SWOT ანალიზებისგან მიღებული მიგნებების საფუძველზე; სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები კი ურთიერთ დასწრებებისა და ერთმანეთთან სასწავლო პროცესის განხილვაზე დაყრდნობით ახდენენ კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მრავალმხრივი მეთოდებით (სადიაგნოსტიკო წერები, საგაკვეთილო პროცესისას მასწავლებლების ჩანიშვნები თითოეულ მოსწავლეზე, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა თუ არაფორმალური განათლებისას მოგროვებული ინფორმაცია/მონაცემები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება და ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის სასწავლო პროგრამა-საგნობრივ კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მასწავლებელთა ინტერვიუებმა, ისევე როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, მოგვცა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ მომხდარიყო სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. საგნის პედაგოგების მიერ წარმოდგენილმა შემაჯამებელი დავალებების ანალიზმა და ინტერვიუებმა გვიჩვენა, რომ დიაგნოსტირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და მიგნებების შესაბამისად განახლდა სასწავლო პროგრამა, რათა მოხდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;
- სადიაგნოსტიკო დავალების ნიმუშები;
- ფოტო-მასალა;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური- სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებლი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, როგორიცაა სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეობრივი/კლუბური მუშაობები (STEM კლუბი, ეკოკლუბი). მათგან მიღებული მონაცემები კი იძლევა მოსწავლეთა განვითარების გზის ასახვას მრავალი კუთხით.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტზე დაყრდნობით. მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს, როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო თუ სპორტული მიმართულებით. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, გათვალისწინებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევის მიზნით ალტერნატიული გზების შეთავაზება/რემედიაცია.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. საგნობრივ სასკოლო პროგრამაში-საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდულური მიდგომები, რადგან გვხვდება დიფერენცირებული სასწავლო პროექტებიც/კომპლექსური დავალებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა კი შეფასებისადმი

ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში ახდენს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას. რაც გულისხმობს ტესტური დავალებების საფუძველზე მოსწავლეთა ცოდნა-უნარების შესწავლას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვი წლიური სასწავლო პროგრმის-კურიკულუმის განახლებას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს, როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას.

ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხორციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურებისას სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებელბი და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმები;

- პროექტული დავალებების ამსახველი გეგმები, ფოტო მასალა;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი;
- წლიური სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. მასწავლებლები, დირექცია, ხარისხის განვითარების ჯგუფი და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.4..1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის გაანალიზების შედეგადაც უკვე იხვეწება განვლილი სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში) შექმნილი საგნობრივი წლიური პროგრამა-საგნობრივი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში; თემების განაწილება, დროის დათმობა, შემოქმედებითი ბუნების დავალებებში მოაზრებული აქტივობების მოსწავლეთა განვითარების უახლოეს დონესთან შესაბამისობა და სხვა. იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ასევე იგეგმება რემედიაციისათვის საჭირო პროგრამა.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი წლიური პროგრამები/საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- რემედიაციისათვის შექმნილი პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 05 .06 2026.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ჯაყელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

თამარ ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)



ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

თამარ წულიკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

თამარ მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი